ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 11 (1449) | 20-27 აპრილი, 1996 წ.

ნაპკითხეთ ყველას!

ბაგრამიანის ბატალიონის მიერ ჩადენილი საშინელი ამბები

„...მეორე დილით იპოვეს შიშველი გვამი, რომელსაც ძუძუები ჰქონდა მოჭრილი, მუხლებზე იდგა, ალბათ მკვლელებს შებრალებას ევედრებოდა

იხილეთ მე-3 გვ.

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს მომავალი მემატიანისთვის

თენგიზ კიტოვანი

საქართველოს უკანასკნელი წლების ისტორიამ ერთი სამწუხარო ტენდენცია გამოჰკვეთა, ყველას, ჭკვიანსა თუ უჭკუოს საპასუხისმგებლო პოსტებისაკენ დაჭინებით მიუპყრიათ მზერა, მაგრამ არაფის, არც ჭკვიანსა და არც უჭკუოს, ამ საპასუხისმგებლო პოსტების დაკავების შემდეგ, არ სურს პასუხისმგებლობა იცვირთოს ქვეყნის მედგზე, ან, უკეთეს შემთხვევაში, ამ პასუხისმგებლობის გრძნობის ამოწურვას მხოლოდ დეკლარაციული განცხადებებით ცდილობენ და სინამდვილეში არავის არაფერზე არასდროს პასუხი არ უგია (ცხადია, თუ სხვამ არ აგებინა)...

უკანასკნელ ხანებში დადგა თენგიზ კიტოვანის პასუხისმგებლობის საკითხი იმ უმდურეობებთან დაკავშირებით, რაც ჩვენს ქვეყანას გარდასდა. ვინ არის ეს კაცი? დამნაშავე, მსხვერპლი თუ განცდების კაცი? ამ კითხვებზე სასაუბროდ ცნობილი ჟურნალისტი **გუბაზ მეგრელიძე** ეწვია რამდენიმე რესპონდენტს.

გაგრძელება მე-2 გვ.

პროცესუალური გამოძიება გარდაუვალია, სასამართლო გარდაუვალია

ცინიზმის ზეიმი რუსთაველის გამზირზე

...მე ვკითხე შევარდნაძეს 1989 წლის 10 აპრილს ნაშუადამევს (ამის საშუალება მომეცა), აქვს თუ არა მას ამ შეიარაღებული ძალის მოქმედებაზე ზეგავლენის საშუალება. მან დადებითი პასუხი მომცა (როგორც ვეტყვი, ისე მოიქცევიანო), ამასაც მოგახსენებთ, როგორც მოწმე.

საუბრის მესამე მონაწილე იყო ნიკო ჭავჭავაძე.

ნოდარ ნათაძის წერილი

იხ. მე-6 გვ.

სახელმწიფო კანცელარიაში «გამოსაშვები» გამოცდები დაიწყო

მოგეხსენებათ, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას ერთ სულ მოსახლეზე დიპლომების რაოდენობის რიცხვით. არსად იმდენი უმაღლესდამთავრებული, დიპლომიანი, სახელმწიფო ბეჭდით დადასტურებული „განათლების მქონე“ მოქალაქე არ ცხოვრობს, რამდენიც საქართველოში.

ეს „განათლებული“ ადამიანები გადანაწილებული არიან ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, არადა, პარადოქსი ის გახლავთ, რომ ჩვენი ცხოვრების ნებისმიერი სფერო ღრმად ჩაბნელებულია, ამაში წვლილი, ცხადია, იმ გარემოებასაც მიუძღვის, რომ დიპლომიანი ბევრი გვყავს, მართლა მცოდნე კი ძალიან ცოტა.

უნდა ვივარაუდოთ, სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ქვეყნის უმაღლეს ჩინოვნიკურ ეშელონში, პრეზიდენტის აპარატის სახელმწიფო კანცელარიაში დაიწყო ე.წ. „გამოსაშვები“ გამოცდები. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს არაორდინალური გამოცდები ზემოხსენებული მიზეზით არის ნაკარნახევი და არა მხოლოდ კადრების ან არასასურველი კადრების შემცირების იოლი გზის გამოძებნის სურვილით...

გაგრძელება მე-6 გვ.

ნაპოვნია შიდს-ის წამალი

ჩეხები და ბელგიელები ირწმუნებიან, რომ ეს ნამდვილად ასეა.

ჩეხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ორგანული ქიმიისა და ბიოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერებმა ოფიციალურად აცნობეს სენსაციურ აღმოჩენაზე პრეს-კონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს: შექმნილია პრეპარატი, რომელიც ხელს უშლის შიდს-ის ვირუსით ინფიცირებას. ამჟერად, ამტკიცებენ მეცნიერები, საუბარი ეხება არა მომდევნო ჰიპოთეზას, არამედ უდაო ფაქტს: გადაწყვეტილება საბოლოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. პრეპარატს, რომელმაც უნდა გადაარჩინოს მსოფლიო მომავალი ასწლეულის შავი ჭირისაგან, აქვს ლაბორატორიული აღნიშვნა RMRA. ის შეიმუშავეს ჩეხებმა სამედიცინო გამოკვლევის ინსტიტუტის ბელგიელ კოლეგებთან ერთად.

RMRA-მ ბრწყინვალედ ჩაიარა გამოკვლევები მაიმუნებზე, რომლებიც არა მარტო განკურნა ავადმყოფობისა-

გაგრძელება მე-8 გვ.

აქა ამბავი კლარასი და ნესტანისა

«მე არა ვარ ადვილად დასაჭერი ქალი...»

ჟურნალისტმა კლარა ამრამიამ ამ რამდენიმე სნის წინ გამოაქვეყნა პუმლიკაცია, სადაც პარლამენტის წევრს ნესტან კირთაძეს მრალი დასდო 85 ათასი დოლარის გაფლანგვაში. ეს პუმლიკაცია შემდეგ „შანსმაც“ გადამეჭდა. ამ მრალდემას ქ-ნმა ნესტანმა საჩიერით უპასუხა და მოითხოვა ქ-ნ კლარას დაპატიმრემა. აი, სწორედ ამ საკითხს მიემღვნა დღვნილი ქალმატონის მიერ ჟურნალისტთა სახლში ჩატარემული პრეს-კონფერენცია. მაშ ასე, მოვუსმინოთ ქალმატონ კლარას...

როგორ იდევნებოდა კლარა აბრამია პროკურატურის მიერ

10 ნოემბერს მიჩივლა ნესტან კირთაძემ. გამომძიებელმა ბესიკ მეავანაძემ ჯერ გაზეთ „შანსის“ რედაქციაში დამძებნა (სხვათა შორის, გაზეთის ის ნომერი, სადაც ჩემი პუბლიკაცია დაიბეჭდა, 10 თუ 13 ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა და უცბად გაიყიდა). მინდა ისიც გითხრათ, რომ არსებობს ჟურნალისტური ეთიკა, დაუწერელი კანონი, რომ ჟურნალისტმა არ უნდა დაასახელოს წყარო, საიდანაც მასალა მოიძია, უკიდურეს შემთხვევამდე. ამიტომ, ვინც მე ეს მასალები გადმომცა, ის არჩევნებში მაჟორიტარული წესით იყრიდა კენჭს და სანამ არჩევნები არ დამთავრდა, ვერ ვეახლე პროკურატურას. არ დამელოდა პროკურატურა და 19 რიცხვიდან დაიწყო გამოცხადებები პრესა-ტელევიზიით, რომ მე ვემალებოდი მათ და ა.შ. მოგეხსენებათ, ეს დაწესებულება უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს და ეს არც გამკვირვებია. სწორედ ამანაც მაფიქრებინა ის, რომ მარტო ნესტანი არ იყო ამ საკითხით დაინტერესებული და ხელისუფლებაც ერეოდა საქმეში. მეორე მიზეზიც მქონდა არგამოცხადების. პროკურატურაში მე მტრების გარდა მეგობრებიც მყავს და სწორედ მათ მირჩიეს, გაცილებულიყო ეს ამბავი და მერე გამოვცხადებულიყავი. აი, ამიტომ მე დავეპირე მოსკოვში წასვლა. აეროპორტში გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ არ გავეშვი და მეც სატვირთო განყოფილებას მივმართე და 23 ნოემბერს სწორედ ამ სატვირთო თვითმფრინავით გადავფრინდი მოსკოვში. მივედი საქართველოს საელჩოში და ბ-ნ ჩერქეზიას მოვახსენე მომხდარის ირგვლივ. მისივე მეშვეობით შევუთვალე პროკურატურას, რომ ჩამობრძანებულიყო და იქ მივცემდი ჩვენებას. აქედან გაისმა უხერხული და სასაცილო ფრაზა — გამომგზავრებისთვის სახსრები არა გვაქვსო (ისე, ჩვენს ეკონომიურად შეჭირვებულ დროში ქ-ნი კლარა ასეთ შემონათვალს არ უნდა გაეოცებინა). ამის მერე მე ჩემი საქმე მქონდა, ვიყავი ესპანეთში, ვიყავი ევროპაშიც (ეტყობა, ქალბატონ კლარას ევროპა ცალკე სახელმწიფო ჰგონია). თან მე ასე მარტო, დაცვის გარეშე ვერ ჩამოვიდოდი. 9 მარტს ჩამოვფრინდი. 10 მარტი კვირა იყო. 11 მარტს, ორშაბათს გამოვცხადდი პროკურატურაში. გავიგე, რომ მეავანაძეს გამომცემლობა „სამშობლოს“ მთელი შენობა დაუკითხავს, მთელი თბილისი დაუკითხავთ, იცნობთო? როგორი ქალიაო, ვისთან ჰქონდა კონფლიქტები, რა ნომერ ფეხსაცმელს იცმევსო, გოჯის რა ნაჭერი უყვარსო და ა.შ. მოკლედ, ისე მდევნიდნენ, თითქოს ტერორისტულ აქტში მიმეღოს მონაწილეობა. ისე, უნდა ითქვას, რომ პირადად მე ზრდილობიანად მექცეოდნენ.

იზა ორჯონიკიძეს სახლში იმისთანა მუზეუმი ჰქონია...

მოკლედ, ინფორმაცია ამ გაფლანგვაზე მე იზასგან მქონდა. და რაკი მას არ უთქვამს, რომ ეს საუბარი გაზეთში არ გაიტანოო, მეც ამიტომ დავბეჭდე. თან, ამასობაში, თურმე ნესტანი გამუდმებით რეკავდა ტელეფონით გენერალურ პროკურორთან და მოითხოვდა ჩემს დაპატიმრებას. ისე, საოცარია, ქალმა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში მუშაობს, არ იცოდეს, რომ ამისათვის წინასწარი პატიმრობა არ არსებობს. ეს ერთგვარი დაწოლაა პროკურატურაზე. მე მქონია მათთან საქმე. მე, სხვათა შორის, ოთხჯერ ვარ პასუხისგებაში მიცემული. ერთხელ ადვაძის საქმის გამო, როცა მე ბრალი დავდე მას, როგორც კორუმპირებულ პიროვნებას, როცა მან მოსკოვის ცენტრში 11 მილიონ დოლარად ბინა იყიდა. და როცა ვიკითხე, საიდან მოიტანა ელჩმა ამდენი ფული-მეთქი. საქმე კი აღძრეს, მაგრამ ფაქტები არ შემოწმდა და ბოლოს საქმე შეწყდა მის მიმართ და აღიძრა ჩემს მიმართ. ჰოდა, იზასთან მივედი და გულწრფელად უნდა გითხრათ, დავიბენი, ისეთი მუზეუმი აქვს, ნამდვილად სასახელო ქალია, თუ ეს მან გააკეთა, მუხლი უნდა მოვიყაროთ მის წინაშე. მან მითხრა, კლარაო, ნუ გამრევ ამაშიო, მე კი ვთქვი, ნესტან კირთაძე ლოთიაო, მაგრამ იმ დოლარებთან დაკავშირებით მე სხვა გვარი დავასახელეო.

შევარდნაძე პროსტო ამოიწურა...

ედუარდ შევარდნაძეს არა აქვს დრო, წაიკითხოს ქართული პრესა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ, რომ მას დავეხმაროთ, რათა არ შევიდეს შეცდომაში და უნდა ჩამოვაცილოთ ცუდი გარემოცვა. ისე, ედუარდს დიდ პატივს ვცემ. მე მტკივა, როცა ამბობენ, აფხაზეთი გაყიდაო. იცით, ეს კაცი პროსტო ამოიწურა, როგორც პოლიტიკოსი.

ხელისუფლებას კირთაძის მოცილება უნდა...

ჰოდა, მთელ ამ ამბავში ერთი საიდუმლო ძარღვიცაა, კირთაძე მე რომ დამიპირისპირეს, ხელისუფლებას მისი მოცილება უნდა. იციან, რომ მე არა ვარ გამჩერებელი ქალი.

მაგალითად, რაც გაზეთმა „საქართველომ“ დაბეჭდა ნესტანზე, მე ამის ნახევარიც არ ჩამიდენია. მაგრამ ჩემთან დაკავშირებით მას დავალება აქვს მიღებული, და ამიტომ ხდება ეს ყველაფერი. ისე, ალბათ, წაიკითხეთ მისი ინტერვიუ „ქალი და მამაკაცში“, მოსკოვის ერთ-ერთ გაზეთში ხომ იმასაც აცხადებს, რომ შესაძლებელია საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიც დაიკავოს. იქნებ შეგვემოწმებინა ეს ქალი ფსიქიურად. მე ეჭვი მეპარება მის სიჯანსაღეში.

ნესტან კირთაძე პროსტო ნერვებს მიშლიდა

იცით, ასეთ დროს კაცს უნდა გამოძრავებდეს ან შური ან შურისძიება. მსგავსი არაფერი არა მაქვს მის მიმართ, პროსტო ნერვებს მიშლიდა. დგას ტრიბუნასთან და 24 საათი უჭერს მხარს იმას, რასაც უმრავლესობა არ უჭერს მხარს. თან იცით, ბევრად უმცროსია ჩემზე, რა უნდა მქონდეს მაგასთან საერთო, არანაირი სამსახურებრივი კონტაქტი არ მქონია. ან რა უნდა შემშურდეს, რა შესაშური ეგა მყავს. უბრალოდ, შემაწუხეს ამ დევნით, ძებნაში ვიყავი, კაცო, მხედრიონი არ ყოფილა ასეთ ძებნაში. ნესტანიც გამოყენებული იყო ამ ამბებში. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი ჟურნალისტური ეთიკა გაიმარჯვებს. ჩემი დღევანდელი დღე თქვენი ხვალინდელი დღეა, თუ მართლა ჟურნალისტები ხართ... — დაანამუსა დევნილმა ქალბატონმა პრეს-კონფერენციის სტუმრები.

* * *

აი, ასე დამთავრდა ეს, ასე ვთქვათ, პრეს-კონფერენცია, რომელზედაც არსებითი და ახალი არაფერი თქმულა, მოვისმინეთ ათასგზის მოსმენილი თუ წაკითხული ზემოხსენებული პარლამენტარი ქალბატონის „თავშესაქცევი“ გამოთქმანი, და არანაკლებ პატივსაცემი ქალბატონის, ამ პრეს-კონფერენციის მთავარი პერსონაჟის, დევნილი ქალბატონის არანაკლებ თავშესაქცევი თავგადასავლები... მოკლედ, ღირდა დროის დაკარგვად...

ლელა კოდალაშვილი

ვინ იყო ვინ?

თენგიზ კიტოვანი

პირველი გვერდიდან

იტოვანი ასლა ციხეშია, და ამდენად, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც იოლად დგება, თუკი ჩვენს გაზეთს იქ წააკითხემენ და სურვილი გაუჩნდემა ამ პუმლიკაციემზე გამოსმაურემისა, ჩვენი გაზეთი დაუყოვნემლივ დასტამმავს მის წერილს, ვინაიდან მომავლის მეისტორიისთვის მრალდემულის სიტყვას და პოზიციას უცილობელი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ჩვენ არ ვაპირემთ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ მსჯელობას მხოლოდ ერთი პიროვნემის თ.კიტოვანის მაგალითზე, მისით ვიწყემთ იმდენად, რამდენადაც პარლამენტის მოლო სხდომემზე სწორედ თ.კიტოვანთან დაკავშირემით მევრი რამ იყო აქცენტირემული და საერთოდ, აფხაზეთის პრობლემაა დღეს ძალზე აქტუალური.

ფაქტი ერთია, მოლო წლემში საქართველო ყოვლმსრივ შეჭირვემულ ყოფაში აღმოჩნდა, გარეშე ფაქტორემის გარდა, ამაში სუმიელქტურ, პიროვნულ მომენტემსაც შეპქონდა დიდი წვლილი. ამ ვითარემის შექმნაში, ცხადია, ყველა დამნაშავენი ვართ, ვისაც დღეს საქართველოს მოქალაქე გვქვია და ყველას ჩვენი წილი პასუხისმგემლობა გვაქვს, — დაწყემული ჯამელის მომპარავი დარაჯით, ვინმე ქუჩის შარასვეტით და დამთავრემული სასელმწიფოს პირველი პირემით. ამასთან მოლო წლემის განმავლობაში ვინც საქართველოს მართავდა, ადამიანთა იმ წრის წარმოდგენა არცთუ ბნელია, ყველა მათგანს, მოლოსდამოლოს, პირადად ვიცნობთ.

ასე რომ, მომავლის მემატიანეს უნდა დასვდეს მზა მასალა არა მხოლოდ ერთი პიროვნემის, არამედ იმ ადამიანემის გარშემო, რომელნიც ქვეყნის მედს წყვეტდნენ მოლო წლემის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტი გუმაზ მეგრელიძე, ჩვენი თხოვნით, წარუმღვემა რუმრიკას „ვინ, იყო ვინ? მასალემი საქართველოს მომავალი მემატიანისთვის“.

იმ კითხვემზე თავის არიდემა, მოტივით — ისტორია განსჯისო, — რომელსაც ჩვენი რედაქცია პოლიტიკურ მოღვაწეემს დაუსვამს, ალბათ, მკითხველის მიერ უნდა შეფასდეს, როგორც სალსის წინაშე პასუხისმგემლობის თავიდან არიდემის ცდა.

მაშ ასე, ვიწყემთ ყოფილი მთავარსარდლის, ამჟამინდელი პატიმრის თენგიზ კიტოვანის ირგვლივ გამოთქმული მოსაზრემემით.

„საქართველოს“ რედაქცია

თენგიზ სიგუა: მოდით, ლოგიკურად ვიმსჯელოთ



1988 წლიდან კიტოვანი აქტიურად ებმება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. თავიდან მონარქისტულ პარტიაში იყო, შემდგომ მისივე ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია. იგივე მონარქისტული იდეებით — ტრადიციონალისტთა კავშირი. ბევრმა არც იცის, რომ მისი ერთ-ერთი დამაარსებელი და შემქმნელი თენგიზ კიტოვანია. 1990 წ. 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თ.კიტოვანი პარლამენტის წევრი გახდა და ზ.გამსახურდიამ დაავალა ახალი ქართული ჯარის შექმნა. ოფიციალურად საპარლამენტო — სამთავრობო კომისია შეიქმნა გვარდიის ჩამოსაყალიბებლად და მის ხელმძღვანელად სწორედ გამსახურდიას ხელმოწერით თ.კიტოვანი დაინიშნა. მართალი გითხ-

გაგრძელება მე-3გვ.

პროკურატურა დეპუტატისადმი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს, ბრალმდებელს ბრალს დებს

„დილის გაზეთის“ 1996 წლის 13 აპრილის №54-ში გამოქვეყნდა ჟურნალისტ ია მაჭავარიანის ინტერვიუ კლარა აბრამიასთან სათაურით: „კლარა აბრამია — ავისმომასწავებელი სტუმარი“. ასევე გაზეთ „მერიდიანის“ (16-19 აპრილი, 1996 წ. №9) ზვიად არაბულის პუბლიკაცია „კლარა აბრამია ნესტან კირთაძის ფსიქოლოგიურ შემოწმებას მოითხოვს“.

კლარა აბრამიას პიროვნებისადმი ინტერესი, როგორც ჩანს, დიდია. ცალკეული პიროვნებები, მათ შორის ჟურნალისტები, ინტერესდებიან იმ სისხლის სამართლის საქმეების ბედით, რომლებიც კლარა აბრამიას მიმართ აღიძრა საქართველოს პროკურატურის აპარატსა და ქ.თბილისის პროკურატურაში ცილისწამების, შეურაცხყოფისა და ცრუ დასმენისათვის. ამასან დაკავშირებით ჩვენ მიგმართეთ ქ.თბილისის პროკურორის საგამოძიებო აპარატს უფროსს ბატონ გურამ სვანიძეს და კომენტარი ვთხოვეთ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეების ირგვლივ.

— გ.სვანიძე: „1995 წლის 25 ოქტომბერს ქალბატონმა ნესტან კირთაძემ განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს და მოითხოვა შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის ჟურნალისტ კლარა აბრამიას ს.ს. პასუხისგებაში მიცემა. გენერალურმა პროკურორმა განცხადების განხილვა და ს.ს. საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტა ქვემდებარეობის მიხედვით ქ.თბილისის პროკურატურას დაავალა.

თბილისის პროკურორის საგამოძიებო აპარატში 1995 წლის 26 ოქტომბერს აღიძრა ს.ს. საქმე საქართველოს ს.ს. კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით (ცილისწამება ნაბეჭდი ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებებში) და 138-ე მუხლის — მეორე ნაწილით (შეურაცხყოფა, მიყენებული ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით).

გამოძიებამ დაწვრილებით შეამოწმა ნესტან კირთაძის მიმართ კლარა აბრამიას ბრალდებების ჭეშმარიტება. კერძოდ, კლარა აბრამიას განცხადებით, ნესტან კირთაძეს ვითომც ბანკიდან გამოტანილი ჰქონია 85 ათასი დოლარი (მეორე ვერსიით 105 ათასი დოლარი) და თითქოს იგი ამ თანხას არ აბრუნებდეს.

შემოწმდა საქართველოში მოქმედი ყველა ბანკი. აღმოჩნდა, რომ პარლამენტის წევრ ნესტან კირთაძეს არასოდეს არანაირი თანხა არ გამოუტანია. უფრო მეტიც — მისი რეკომენდაციითაც კი არავის არა აქვს მიღებული რაიმე თანხა. გამოძიებამ ყურადღებით შეისწავლა საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, აწ. გარდაცვლილი დ.დვალიშვილის მდივნის ჟურნალი. მასშიც არ ფიგურირებს ნ.კირთაძის გვარი — ე.ი. მას არანაირი შემხებლობა არ ჰქონია ფულადსაკრედიტო ოპერაციებთან.

სერიოზული საგამოძიებო ქმედებებით უტყუარად დადგინდა, რომ ნესტან კირთაძეს არანაირი ფულადი სახსრები — ეროვნული თუ უცხოური ვალუტა არ მიუღია რომელიმე ბანკიდან. შესაბამისად, კლარა აბრამიას განცხადება — გაკეთებული გაზეთების „თუთარჩელა“, „შანსი“-ს მეშვეობით, ნესტან კირთაძის მიერ თანხის, უცხოური ვალუტის მითვისების შესახებ — სიცრუეა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, კლარა აბრამიას ქმედება გამოძიებამ შეაფასა როგორც განზრახი ცილისწამება მძიმე დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია ს.ს. კოდექსის 137-ე მუხლის — მე-2, მე-3 ნაწილებით.

გარდა ცილისწამებისა, კლარა აბრამიამ აშკარად და არა ერთხელ შეურაცხყო გაზეთ „თუთარჩელას“ მეშვეობით ნ.კირთაძის პატივი და ღირსება, რისთვისაც გამოძიებამ მისი ქმედება შეაფასა როგორც დანაშაული, გათვალისწინებული ს.ს. კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სამწუხაროდ, ანალოგიური ვითარებაა იმ ს.ს. საქმესთან დაკავშირებით, რომელიც აღიძრა კლარა აბრამიას მიმართ ვალერია ადვაძისა და სხვა პირთა ცილისწამების გამო. გამოძიების პროცესში გადამოწმდა კ.აბრამიას „ბრალდებები“, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დადასტურდა; შესაბამისად, კ.აბრამიას მიმართ აღიძრა ს.ს. საქმე ცრუ დასმენისათვის — 196-ე მუხლის მეორე ნაწილით.

დღეისათვის ორივე ს.ს. საქმე გაერთიანებულია ერთ წარმოებად და უახლოეს მომავალში კ.აბრამიას ს. სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც გადაწყდება.

ქ.თბილისის პროკურატურის პრესცენტრი

მეორე გვერდიდან

რათ, მაშინ არ მჯეროდა, რომ მოკლე ხანში შეიძლებოდა გვარდიის შექმნა, ვინაიდან ყველაფერი ნულიდან დაიწყო. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა და რესპუბლიკებს თავისი საჯარისო ფორმირებების შექმნის უფლება არ ჰქონდათ. მაგრამ ეს საქმე მაინც გაკეთდა. მახსოვს 1991 წ. იანვრის ბოლო დღეები იყო, თ.კიტოვანი ჩემს სამუშაო ოთახში გვიან ღამით შემოვიდა და გამანდო იდეა, რომ დიდი სურვილი აქვს და განახორციელებს კიდეც, 26 მაისს ჩაატაროს ეროვნულ სტადიონზე ქართული ჯარის აღლუმი. მაშინ გაოცებით ვუთხარი — ასე ჩქარა არმიის შექმნა არ იქნება და შევახსენე, რომ მსოფლიოში ცნობილი არმიები ათწლეულობის მანძილზე ყალიბდებოდა. მითხრა, ეხლა სხვა დროა და მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება და ვალდებულები ვართ 26 მაისისთვის ქართული დროშის ქვეშ 10—12 ათასი კაცი დავაყენოთ. ეს იდეა იდეალისტურად მომეჩვენა, მაგრამ დათქმული დროისთვის მართლაც ჩატარდა ეს აღლუმი და ცრემლმორეული ხალხი ტაშით შეხვდა ჯარის ჩამოყალიბებას. ამ კაცში ვხედავდი, რომ სპეციალური მიდრეკილება ჯარის შექმნისკენ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო განათლება არ მიუღია. არ ვამბობ, რომ რაიმე სამხედრო სტრატეგი იყო, მაგრამ თითქმის შეუძლებელი შესძლო. მაშინ ახალგაზრდობაც აღტყინებით მოდიოდა ჯარში. ბევრჯერ იყო შემთხვევა, საექიმო კომისიებში ჯანმრთელობის გამო დაწუნებული ახალგაზრდები წასვლას მაინც მოითხოვდნენ.

ხელისუფლებამ იცოდა 13 იანვრის აქციის მზადების შესახებ. თ.კიტოვანმა გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მოიწვია ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები და მოსთხოვა მათი წაყოლა დამკვირვებელთა და მრჩეველთა სახით. ასე რომ, ხელისუფლებაცა და პოლიტიკური პარტიები ამის თაობაზე ინფორმირებულნი იყვნენ.

პარლამენტის სხდომაზე გაისმა, რომ თ.კიტოვანმა არ შეასრულა ბრძანება და მაინც შევიდა დასახელებულ პუნქტებში. კერძოდ სოხუმში. რამდენად მართებულია საკითხის ასე დაყენება?

მოდით, ლოგიკურად ვიმსჯელოთ და დავეყრდნოთ ფაქტებსა და არსებულ დოკუმენტებს.

1992 წ. 10 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი, რომელსაც ე.შევარდნაძე თავმჯდომარეობდა, ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას აფხაზეთში ჯარების შეყვანის თაობაზე. როგორც იმ სხდომის მონაწილე, ვადასტურებ, რომ თ.კიტოვანს არ მიუღია დავალება ჩასულიყო არძინბასთან და გეგმა გაეცნო. იქ იყო სხვა. ამ სხდომაზე მოწვეული იყო იმჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი. მან ასეთი საკითხი მართლაც დასვა — სანამ პოლიცია და ჯარი შევიდოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ვინმე მაღალი თანამდებობის პირი ჩავიდეს სოხუმში და არძინბას დეტალურად ესაუბროსო. აქვე მახსოვს შესანიშნავად, ამ წინადადებაზე გენერალური პროკურორის ვ.რაზმაძის რეაქცია, რომ რაღა საჭიროა არძინბას ზედმეტი რევერანსები ვუკეთოთ, გეგმა დამტკიცებულია და ბატონი ედუარდიც ამბობს, რომ ყოველივეს ტელეფონით გადასცემს არძინბას. იქნება სრული მოლაპარაკება და აღარაფერი საჭიროა ადგილზე ვეახლოთო. ამის შემდეგ არავის არავითარი დავალება არ მიუღია. ბოლოს და ბოლოს არსებობს ამის დამადასტურებელი ოქმი, რომლის გამოქვეყნებასაც ორი წელია ვთხოულობ. 1992 წლის 14 აგვისტოს შევარდნაძე ბრიფინგს მართავს პარლამენტის შენობაში, სადაც ამბობს, რომ ჩვენ ერთხმად გადავიწვიტეთ ჯარების გადაადგილება და ეს აბსოლუტურად მართებული აქტიაო. 18 აგვისტოს ისევ პრესკონფერენციას იწვევს და ჟურნალისტებს იგივეს ეუბნება.

სინამდვილეში ჯარი არსად არ გაჩერებულა. სოხუმში ჯარი შევარდნაძემ შეაჩერა. ბოლო ინტერვიუში აღიარა, რომ ყარყარაშვილს დავურეკე და ვთხოვე გუმისთას იქით ნუ გადახვალო. აქედან იწყება ტრაგედია, რამაც დასაბამი დაუდო კონფლიქტში ჩათრევას.

ვინ იყო ვინ?

თენგიზ კიტოვანი

ბორის კაკუბავა: არა მგონია მისი მოწოდება ყოფილიყო მხოლოდ სამხედრო საქმე და მთავარსარდლობა

პიროვნულად თ.კიტოვანი ბუნებით კეთილი კაცია. მასთან სათხოვნელად მისული ადამიანებისთვის უარი არასდროს არ უთქვამს. ბევრმა კი მისი ეს კეთილი განწყობა ბოროტად გამოიყენა. თ.კიტოვანის ერთ-ერთ დანაშაულად იმას კუთვნი, რომ აფხაზეთში ყოფნისას მისი ბრძანებით დაინიშნა ბატალიონების, ბრიგადების, კორპუსების მეთაურები. ისინი სრულიად შემთხვევითი, დამნაშავეთა სამყაროდან გაგდებული ადამიანები იყვნენ, რომლებიც ბრძოლის მაგივრად ძარცვასა და მოროდიორობას ეწეოდნენ. სამხედრო საქმეების კეთება კი ასეთი მიდგომით არ შეიძლება.

ზვიადის უბედურებაც ის იყო, რომ თანამდებობებზე ნიშნავდა ხალხს არა მოწოდებითა და დამსახურებით, არამედ მისადმი კეთილი დამოკიდებულებით. ნამდვილი ეროვნული ძალების მაგივრად ქუჩიდან მოსული მხარდამჭერები ამოიყენა. კიტოვანიც ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ზვიადს „უერთგულა“:

აფხაზეთში კი კიტოვანს თვითნებურად ჯარის შეყვანა არ შეეძლო. მან, თავისი ხასიათიდან გამომდინარე გ.ლომინაძეს დაუჯერა, რომელიც აფხაზეთიდან შეურაცხყოფილი წამოვიდა და სულ კიტოვანის კაბინეტში იჯდა, შურის საძიებლად აქეზებდა. კიტოვანიც აიძულა დათანხმებოდა, ოღონდაც თენგიზმა საჯარისო ნაწილები გ.ლომინაძეს მისცა, რომელიც აფხაზეთში შემოჭრისას ჯარს სათავეში მიუძღოდა. თენგიზი უთუოდ დადებითი პიროვნებაა, და პატივს ვცემ როგორც კეთილ ადამიანს, მაგრამ არა მგონია მისი მოწოდება ყოფილიყოს სამხედრო საქმე და მთავარსარდლობა.

— რა მოხდა 13 იანვარს? ჩვენივის ცნობილია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის წევრი იყავით. რა იცით უფრო დაწვრილებით ამის შესახებ?

მე ვიყავი ამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის დამფუძნებელ კონფერენციაზე და საბჭოს წევრადაც დამასახელეს. პირველივე სხდომაზე ვიკითხე ვინ იყო ვალერი ფისუნი, რას აკეთებდა ჩვენთან და რა იყო საერთოდ ჩვენი ფრონტის მიზანი. ბოლოს გავიგე, რომ აქ ძირითადი გათვლა იყო რუსების დახმარებაზე, რაც წინასწარ იყო გათვლილი კრახისთვის. მაშინ განვაცხადე, არ შეიძლება რუსეთზე ჩამოკიდება. სწორედ რუსეთი ომობდა აფხაზეთში, დაგეკეტა საზღვარი და მე ვერ წამოვალ-მეთქი.

— რას იტყვით იმაზე, რომ დღეს კიტოვანს ბრალდება, თითქოს მან ბრძანება არ შეასრულა და დასახელებულ პუნქტებში ჯარი შეიყვანა?

შევარდნაძის მეთოდია ყველაფერი სხვას გადააბრალოს. ტყუილია ეს. არსებობს სახელმწიფო საბჭოს დადგენილება აფხაზეთში ჯარის შეყვანის შესახებ. აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭო ამის წინააღმდეგი იყო. რამდენიმე დღით ადრე შევხვდით შევარდნაძეს და დავითანხმეთ, მაგრამ მაინც შეიყვანა ჯარი რკინიგზის დაცვის საბაბით. ამისთვის კი არცერთ ქვეყანაში ტანკებით არ შედიან.

ოჩამჩირეში მყოფი 5 ათასი კაცი აფხაზეთის ასაღებად სრულიად საკმარისი იყო, მაშინ მინისტრი უკვე ყარყარაშვილი იყო და კიტოვანიც შევარდნაძის მხარეს აქტიურად არ დადგებოდა. იგი რას განაგებდა, არ ვიცი, მაგრამ იქ რამდენიმე გენერალი იყო, რომლებიც სოხუმზე არ წავიდნენ. იყო თუ არა ზვიადის მომხრეთა ზემოქმედება, რომ ამ დამარცხებით შევარდნაძე ჩამოეგდოთ, ეს მე არ ვიცი.

მაშინ უკვე კიტოვანს აღარავინ ემორჩილებოდა.

ირაკლი ბათიაშვილი: აფხაზეთში შესვლა კიტოვანის ახირება არ ყოფილა



სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე თავიდანვე ფრთხილად იყო ლაპარაკი მარტო კიტოვანის გადაყენებაზე. მე კი საკითხი დავაყენე კიტოვანისა და იოსელიანის წასვლის შესახებ და პირდაპირ განვაცხადე — თქვენს გამო ყაჩაღების სახელმწიფოს გვეძახიან და უნდა წახვიდეთ-მეთქი. ასეთი კონფრონტაცია

გაგრძელება მე-5 გვ.

წააკითხეთ ყველამ!

ბაგრამიანის ბატალიონის მიერ ჩადენილი საშინელი ამბები...

...მეორე დილით იპოვეს შიშველი გვამი, რომელსაც ძუძუები ჰქონდა მოჭრილი, მუხლებზე იდგა. ალბათ მკვლელებს შებრალებას ევედრებოდა...

საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია პარლამენტის სხდომაზე საქართველოს გენერალური პროკურორის ბ-ნ ჯ.ბაბილაშვილის და პარლამენტის წევრის ბ-ნ გ.კალანდიას გამოსვლამ. ბევრმა ნაცნობმა გვითხრა, მართლა ასე ხდებოდაო თუ არა. მე კი ვეუბნებოდი, უფრო მეტიც კი ხდებოდა, რაც თქვეს, ის ზღვაში წვეთია-მეთქი.

მე თვითმხილველის უფლებით მოგითხრობთ სისასტიკით განთქმული ბაგრამიანის ბატალიონის „მოღვაწეობის“ შესახებ გულრიფშის რაიონში (სხვაგან არ ვიცი). მკვლელობათა და ვანდალიზმის, სადიზმის და გაუგონარი წამების ფაქტების 90—95 % ამ ბატალიონისა და გულრიფშის რაიონის სომეხ მცხოვრებთა სინდისზეა, თუმცა, რა სინდისზეა ლაპარაკი, როცა აფხაზეთის სომეხთა შესახებაა საუბარი. ზოგი ქართველი ამართლებს სომხებს (ჩვენ ხომ ტოლერანტობით ვამაყობთ, ისინი კი „გიჟ ვრაცუას“ გვეძახიან) იმით, რომ ქართველთა ბანდებმა (სწორედ ბანდებმა და არა ჯარმა)... ისინი სასტიკად გაძარცვეს. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები მართლაც იყო, მაგრამ მკვლელობანი პრაქტიკულად არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ქართველთაგან მეტი იქნა მოკლული ამ ბანდების მიერ, ვიდრე სომეხი...

ყველაფერი ზემოთქმული არ ამართლებს სომხებს, თუნდაც იმიტომ, რომ მძარცველებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა ეროვნებას, ისინი ყველას ძარცვავდნენ. მეორეც, სწორედ ადგილობრივი ქართველები თავგანწირული იცავდნენ მათ, თუ კი რამე შეეძლოთ. ამასთან დაკავშირებით, მრავალი ფაქტის მოყვანა შემიძლია. ისეთი ფაქტებისაც კი, როცა სწორედ ქართველი შეეწირა მათ დაცვას, ხოლო სომეხი მშვიდობიანად გადარჩა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ქალი ნარგიზა თუთისანი მარტო შეებრძოლა ოთხ მძარცველს იარაღით ხელში, გულრიფშის რ-ნის სოფ. წებელდაში და კუდამოძუებულნი გააქცია ბანდიტები. მას კი მადლობა იმით „გადაუხადეს“ მეზობელმა სომხებმა, რომ სადისტურად მოკლეს მისი მამა ოთარ თუთისანი და სასაფლაოზე დამარხვის უფლებაც არ მისცეს, სადაც მოკლეს იქვე, მურმან ნაჭყებიას ეზოში დამარხეს, ხოლო ნარგიზა თუთისანი რუსეთშია ლტოლვილი... ჯერ კიდევ საბჭოთა რეფერენდუმის დროს, როცა ვერ ბედავდნენ სომხები აშკარად ხმა მიეცათ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, მიდიოდნენ მანქანებით აფხაზეთით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში და იქ რა თქმა უნდა ყოველგვარი საბუთის ან სიის გარეშე აძლევდნენ ხმას. აფხაზ სეპარატისტებსაც ხომ მხოლოდ ეს უნდოდათ.

ქართველთა საოცარი და სრულიად გაუგებარი სიძულვილი ადრეც ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი, ამას ხშირად არც მალავდნენ. ჯერ კიდევ 1989 წელს თურქეთიდან ჩამოსულ აფხაზებთან შეხვედრისას (ამ შეხვედრას ქართველი საბჭოს თავმჯდომარეც ესწრებოდა). თანასოფლელმა ვალოდია გოგორიანმა, პროფესიით პედაგოგმა, განაცხადა, რომ ეს ადგილი (სოფ. წებელდა) აფხაზეთის მიწაა და არა ქართველების, ამიტომ სასიხარულო იქნება, თუ ისინი დაბრუნდებიან.

ომის დროს ყველა ახალგაზრდა სომეხი, რომელიც შეიძლებოდა ომში გაეწვიათ (თუმც გამწვევი ვინ იყო), 18 წლიდან 50 წლამდე არძინბას კონტროლირებად ტერიტორიაზე გახიზნეს. ახლა კი ახალგაზრდები, როცა ძარცვაგლეჯა დამთავრდა და საშოვარი არაფერია, რუსეთში გაიხიზნენ.

ამჯერად, იმ ფაქტებს ჩამოვთვლი, მხოლოდ რამდენიმეს და მხოლოდ იმას, რაც ჩვენს სოფელში მოხდა, თორემ ყველა მათი სისაძაგლის ჩამოთვლა საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია, ამას ხომ ტომები დასჭირდება და დამწერიც უფრო გამოცდილი, ვიდრე მე გახლავართ.

1993 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე არასრული მონაცემებით სოფ. წებელდაში 60 ადამიანი მოკლეს, დაწვეს და აწამეს: ამ 60 ადამიანიდან ახალგაზრდა მამაკაცი მხოლოდ ორია და ისინიც ფსიქიურად დაავადებულნი იყვნენ, ამიტომაც დაიტოვეს ისინი მოხუცმა ახლობლებმა. თვით ინდიელებიც კი ფსიქიურად დაავადებულ ადამიანებს ხელს არ ახლებდნენ. ალბათ, ეს ყველა მკითხველმა იცის ჯ.კუპერის წიგნებიდან და ცნობილი კინოფილმებიდან. ახლა კი მხოლოდ ფაქტები პატივცემულო მკითხველო. ჯერ კი ბოდიშს მოვიხდი იმ წამებულთა ახლობლების წინაშე, შეუხორცებელ ჭრილობას რომ შეხსენებით ისევ ვუღიზიანებ.

1. პლატონ ხურცილავა, 75 წლის, პენსიონერი, ჯერ გაძარცვეს, მერე გამოიყვანეს და სოფლის ცენტრში, სოფსაბჭოს შენობის წინ მოკლეს. ერთ კვირა არ დაუმარხავთ, სანამ ალბათ სუნმა არ შეაწუხა მკვლელები.

გაგრძელება მე-4 გვ.

ბაგრამიანის ბატალიონის მიერ ჩადენილი საშინელი ამბები

გულრიფშის რაიონის წებელდის №1 საშუალო სკოლა.

ახლა აღარც ეს სკოლაა და ეს ბავშვები და მასწავლებლებიც ვინ იცის სად იზიარებენ დევნილთა მძიმე ხვედრს.

მესამე გვერდიდან

2. დონარა ბერია, მასწავლებელი, 42 წლის, 80 წლის დედასთან ერთად მოკლეს თავის სიმინდის ყანაში, შეაგდეს სახლში და დაწვეს ორივენი. აქ ბოლომდე ვერ ვიტყვი კიდევ რა გააკეთეს, ამის დაწერა გაზეთში ალბათ არც შეიძლება.

3. უცნობი ექთანი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც ადგილობრივმა მცხოვრებმა ვერა ჯურხაძემ შეიფარა, ამბობენ, რომ სოფელ ლინდავიდან იყო, თავს დაესხნენ ოჯახს, ქალი გაიტაცეს მეზობელი სომეხის ვარსენიკ ხაჩატურიანის (პროფესიით მასწავლებელი) სახლში, მთელი ღამე სახლიდან კივილი და ტირილი ისმოდა, ალბათ, მიხვდებით რატომ. მეორე დილით სოფლის გარეთ გზის სიახლოვეს იპოვეს შიშველი გვამი, რომელსაც ძუძუები ჰქონდა მოჭრილი, მუხლებზე იდგა, ალბათ კიდევ ეხვეწებოდა შებრალებას მკვლელებს.

გვამზე ბენზინი გადაუსხამთ და დაუწვავთ, თუმცა ეტყობა ბენზინი დაენანათ, დამწვრობა მცირე იყო.

4. საშა (ალექსანდრა) ყალიჩავა, 75-80 წლის მოხუცი, მარტოხელა ქალი. ცოცხლად დაწვეს საკუთარ სახლში. „მიზეზი“ — დამალა მეზობლის მე-10 კლასელი გოგონა. გოგონა კი მაინც მოიტაცეს. გვარს და სახელს ვერ დავასახელებ, ულამაზესი გოგონაა.

5. ვერა ჯურხაძე, 83 წლის, ჩემი ახლო მეზობელი, ცოცხლად დაწვეს საკუთარ სახლში. როცა სახლი ჯერ კიდევ იწვოდა, „კეთილი“ სომეხი მეზობლები ჩხუბობდნენ მის ყანას ვინ დაეპატრონებოდა, მოსავალი ხომ აღებული არ იყო. ამ ამბავს შეესწრო ბიცოლა-ჩემი ც.კუხალაშვილი, უთხრა მათ, ჯერ ძვლები მაინც დაემარხათ და შემდეგ გაეყოთ ყანა. ალბათ ამ სიტყვებისათვის სასტიკად დაისაჯა, ამაზე ქვემოთ.

6. ბიძაჩემი უშანგი კუხალაშვილი, 63 წლის. ბევრ ტელემაყურებელს შეიძლება ახსოვდეს კიდეც ტელერეპორტაჟიდან ჭაღარა, ულვაშებიანი, ჯანმაგარი მოხუცი, იარაღით ხელში ქართველებს რომ ერთობისაკენ მოუწოდებდა. მოკლეს საკუთარ სახლში, შემდეგ დაწვეს. ბიცოლამ ცეცხლიდან ნახევრადდამწვარი გამოიტანა და ეზოში დაასაფლავა.

7. გრიგორი (ჯღარკუ) ლაშხია, დაახლოებით 60 წლის, ერთი თვე ქართველთა სახლებიდან საკუთარი ტრაქტორით ნაძარცვი ათრევინეს, ბოლოს ტრაქტორი წაართვეს და მოკლეს.

8. გოგუცა თუთისანი, დაახლოებით 55-58 წლის ქალი, დედა მისი 75-80 წლის, ლოგინად ჩავარდნილი. შვილი აწამეს და მოკლეს, შეაგდეს დედამისთან სამზად სახლში და დაწვეს, დედა ცოცხლად (!). გადარჩენილა ქონება თვითონ დაისაკუთრეს.

მკითხველო, მგონი გეყოფათ ასეთი ამბების მოსმენა. არ იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ პირველ დღეებში ხდებოდა. მხოლოდ ორ შემთხვევას მოგიყვებით შემდგომი ამბებიდან:

1. 1994 წლის ზაფხულში ხუთი მოხუცი ამოხოცეს და დაწვეს ერთ სახლში: საშა (ალექსანდრა) სახელაშვილი, თამარ ბზიკაძე, ჟუნა შამათავა, ამირან ჯეჯელავა და მისი მეუღლე.

2. 1995 წლის 8 თებერვალს, ერთი ძროხისათვის მოკლეს 80-ზე შეტი წლის კაკო კოპალიანი, ინვალიდი ძლივს დადიოდა ხელჯოხებით, მისი მეუღლე, ეროვნებით აფხაზი, დაახლოებით მისივე ხნის და კ.კოპალიანის დისშვილი, ფსიქიურად ავადმყოფი ბავშვი. მოხუცები სახლში მოკლეს, ბავშვი გაიქცა, მასაც დაეწივნენ და ყანაში მოკლეს, შეაგდეს სახლში და სამივე დაწვეს.

ეს ბოლო ტრაგედია იმითაცაა საინტერესო, თუ როგორი „სამართალი“ სუფევს აფხაზეთში. კაკო კოპალიანის მეუღლეს, აფხაზ ქალს პირველ ქორწინებაში ჰყავდა აფხაზი შვილები. სწორედ მათი მოთხოვნით მკვლელები, ამავე სოფლის მცხოვრები კალაიჯიანები დაიჭირეს, მაგრამ სომხებმა ფული შეაგროვეს და მკვლელები გამოისყიდეს.

ბ-ნ გენერალური პროკურორს მეგონა უფრო ზუსტი ცნობები ექნებოდა მამული აფხაზავას მკვლელობის შესახებ. ამ ერთი უზუსტობის გამო სეპარატისტებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ მთელი მისი ბრალდება. მ.აფხაზავა მოკლეს არა აფხაზებმა, არამედ ქართველმა ბანდიტებმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე, სანამ სეპარატისტები დაიკავებდნენ სოხუმს და მით უმეტეს სოფ. მერხეულს, სადაც ის ცხოვრობდა. „ზუსტი“ ცნობა სწორედ იმ პირებმა, ვინც ეს ჩაიდინა. თუ აფხაზავას ოჯახს მოინახულებს გამომძიებელი, იოლად გაიგებს, ვინ ჩაიდინა ეს. ხომ არ შეაჩერეს ეს მკვლელობა და როდის, ან იმავე პირებმა რა დამართეს ამ ოჯახს უღელტეხილზე. მე ვიცი მრავალი ფაქტი, როცა აფხაზეთში დარჩენილი ნათესავი ჩამოდის თავისიანებთან აქ და არ ვიცი არცერთი ფაქტი, რომ ისინი დაეკითხონ ვინმეს. არა და რამდენრამეს გაიგებდა უშიშროების სამსახური ან პროკურატურა.

ისევ გადავუხვიე თემას პატ. მკითხველო, მე ხომ ჟურნალისტი არა ვარ, მაპატიეთ.

ქართველთა გენოციდში დიდი „ღვაწლი“ მიუძღვით წებელდელ სომხებს: მარგოს თოფჩიანს, ვალოდია გოგორიანს, არმენ არზუმანიანს, ნერსიკ დანელიანს, ოვსეპ კალაიჯიანს და მის შვილს, რუსეთის ჯარის ოფიცერს, აშოტ სამველის ძე კალაიჯიანს, სოღიკ არზუმიანს, ვოვა ავჯიანს, გრიშა ხაჩატურიანს და სხვებს. ძარცვაში კი ყველა მონაწილეობდა, დიდი და პატარა, თვით პედაგოგებიც კი: არინა ხაჩატურიანი, ვარსენიკ ხაჩატურიანი, ედიკ დანელიანი, იგივე ოვსეპ კალაიჯიანი და სხვები.

წებელდაში ახლა ცხოვრობს მხოლოდ ორი მოხუცი უპატრონო ქართველი ქალი. აგრეთვე ორი ქართული ოჯახი, რომლებიც აფხაზ-სომეხთა მხარეს იყო ომის დროსაც იმიტომ, რომ ერთს აფხაზი ჰყავს მეუღლე, ხოლო მეორე სომხის ნაცოლარია. ქართველებად ეს ორი არც ითვლებიან და არც თავად თვლიან ქართველად თავს, თუმცა პასპორტით ქართველები არიან. სოფელში გადამწვარია ქართველთა სახლების 70 %. დანარჩენი დაშალეს და წაიღეს, რის წაღებაც შეიძლებოდა. ლითონის ღობეებიც კი არ დარჩა, ყველა წაიღეს. წებელდის №1 ქართულ ტიპიურ საშუალო სკოლას სახურავი ახადეს, იატაკი აყარეს, ხოლო ინვენტარი გაიტაცეს. ქართველთა ბაღები „ნაკრძალად“ გამოაცხადეს და იცავენ, რათა მოსავალი თვითონ აიღონ. ხელმძღვანელობს ამ საქმეს წებელდელი არუთ თოფჩიანი, „ნაკრძალი“ ეკუთვნის ვიღაც დიდი თანამდებობის პირს სოხუმში. შესაძლოა უცნობი შოვინისტის იური ვორონოვის შვილს, რომელიც აქტიურად იბრძოდა კოდორის ხეობაში ქართველთა წინააღმდეგ. სხვათაშორის, ი.ვორონოვი წებელდელი იყო.

კოდორის ხეობაში ქართველ მთხალისგთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა იგივე ბაგრამიანის ბატალიონი, შეგახსენებთ, რომ ბატალიონის წერილი აჩვენეს ტელევიზიით. ამ წერილით სვანებს შერიგებას და კოდორის ხეობის დათმობას თხოვდნენ, რასაც სვანებმა საკადრისი პასუხი გასცეს. ამავე ბატალიონმა პირისაგან მიწისა აღგავა სუფთა ქართული სოფლები: ამტყელი, ჭამპალი (ჩინი), ქვემო ლათა, ლათა, ზემო ლათა, რამდენიმე მცირე სოფელი. სხვათაშორის, წერილი გამოატანეს ერთ ქართველ ტყვეს, ხოლო ნეიტრალური ზონა რომ მშვიდობიანად გაევლოთ, სომხებმა წინ ორი მერხეულელი 15-16 წლის გოგონა გაიმძღვარეს ნაღმების შიშის გამო. შემდგომაც, თვეების განმავლობაში ეს გოგონები წებელდაში ჰყავდათ საგზაო საექსპლუატაციო №32 უბნის შენობის მიწისქვეშა საწყობში და თუ ვინმეს „მოუნდებოდა“, გამოჰყავდათ. ამ სოფლებში დღეს არ ცხოვრობს არავინ, ვინც იყო დარჩენილი, ყველანი ამოხოცეს. სოფელ ლათაში „ბაგრამიანის ბატალიონს“ აფხაზები და კაზაკებიც (იგივე რუსები) „დაეხმარნენ“. ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებში მთელი არაა არცერთი სახლი, წაიღეს ყველაფერი, რისი ადგილიდან დაძვრაც კი შეიძლებოდა და ყველაფერი ეს არა აფხაზებმა ან რუსებმა, ისინი ამას არ „კადრულობდნენ“, მათ მხოლოდ მანქანები და ძვირფასი ნივთები მიჰქონდათ, არამედ გულრიფშის რაიონის სომხებმა.

ბევრ რამეს არც ვწერ იმიტომ, რომ არ შემიძლია დავასახელო ადამიანი, რადგან მას ჰყავს ქმარი, ძმა, შვილი. როგორ უნდა წავაკითხო ძმას მისი დედის ან დის შერცხვენის ამბავი. ან როგორ დავასახელო ერთ 55-ეს წლის ქალი, ლამაზი ქალბატონის ვაჟი და ახლა, რომელიც დღეს უკვე ოჯახიანი არაა. ცოცხალი გადმოვიდა, მაგრამ მისი და მისი მეუღლის სიტყვა არავის გაუგონია. როცა სომხებს ახსენებდნენ, ინვალიდი ქმარი მხოლოდ კბილებს აკრაჭუნებდა შეშლილივით. ეს ქალბატონი ვინმე სოღიკ არზუმანიანმა მეუღლის თვალწინ გააუპატიურა. თვით ეს სოღიკი ისეთია, რომ მასთან შედარებით შიმპანზე შვლის ნუკრად მოგეჩვენებათ, ჯაყო კი კინოფილმიდან „ჯაყოს ხიზნები“ — ანგელოზად. ამას წინათ ზაურ ქობალიას განაჩენი მოვისმინე ტელევიზიით, მისი ერთ-ერთი ბრალდება იყო ლტოლვილთა არგატარება. განა ზაურ ქობალიას სხვა დანაშაული არ ეყოფოდა, რომ ეს აბსურდული ბრალდება არ დაემატებინათ? ამ „ბრალდების“ წაყენებით ხომ ეჭვის ქვეშ ვაყენებთ იმ ბრალს, რაც მას ნამდვილად მიუძღვის. ან რომელ არგატარებაზეა ლაპარაკი? თუ სოხუმელთა და გულრიფშელთა ოჩამჩირის გზით გავლაზე, მაშინ ამაში ხომ სწორედ სამთავრობო ჯარის „გენერლები“ არიან დამნაშავენი, რომლებიც ოჩამჩირეში იმყოფებოდნენ და ეს ბრძანა კიდეც პარლამენტის სხდომაზე ბატონმა პრეზიდენტმა. თუ ჭუბერი-ზუგდიდის გზით არგატარებაზე, ესეც აშკარა სიყალბეა. ამის მოწმე ხომ ათასობით ლტოლვილია, რომლებიც ზუგდიდის გავლით წამოვიდნენ. სანამდე მოხდება დანაშაულის პოლიტიკური შეხედულებით წაყენება-არწაყენება. ან ვის რაში სჭირდება, რომ სომხების ცოდვებიც აფხაზებს ავკიდოთ, მათ ხომ თავისიც ეყოფათ. რატომ ვაფარებთ სომეხ „ძმებს“ ხელს. ეს „მოძმე“ ერი თუ რას ფიქრობს ჩვენზე, ალბათ წაიკითხეთ გაზ. „რეზონანსში“ (№42 11-12IV—96 წ.) სტატიაში „საქართველოს პოლიტიკური აქტივობა სომხეთის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება“. თურმე საქართველო — თურქეთის რკინიგზის აშენება სომხების ინტერესებს ეწინააღმდეგება, მით უმეტეს ნავთობსადენის გავლა საქართველოზე. თან გვემუქრებიან: „სომხეთის მშვიდობისმოყვარე ხელისუფლება ვერ შეძლებს დაუშალოს ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა იმ სომხურ ძალებს, რომლებიც საქართველოს სახით რეგიონში მომავალ სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეტოქეს ხედავენ“. არც იმას მალავენ, რომ ჯავახეთის სომხობას ააჯანყებენ ან კიდევ „კულტურულ ავტონომიას“ მოითხოვენ მათთვის. ურცხვად აცხადებენ, რომ აფხაზეთის სომხობამ ძალადობა განიცადა ქართველთა მხრიდან. ეს იმ ფაქტების უმცირესი ნაწილია, რაც სომხების „ბაგრამიანის ბატალიონმა“ ჩაიდინა. ნაცვლად იმისა, რომ ოფიციალურმა სასომხეთმა დაგმოს თვისტომთა საშინელი ქმედებანი, ბრალს აქეთ გვდებენ, განა ასეთი სამართლით შეიძლება ორი მეზობელი ერის ძმურად თანაარსებობა?

ბრიგოლ კუხალაშვილი

სოფელ წებელდის მკვიდრი,
ამჟამად ლტოლვილი

პარლამენტი

დადგენილება დადგენილებისთვის, თუ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი?

საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობდა პლენარული სხდომა, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხს მიეძღვნა.

კენჭისყრის დროს პარლამენტმა შესაშური ერთსულოვნება გამოიჩინა, დადგენილება ერთხმად იქნა მიღებული. „დადგენილების მიღება არ ნიშნავს, რომ პარლამენტმა დაასრულა მუშაობა აღნიშნული საკითხის გარშემო, ჩვენ ახლა ვიწყებთ ყოველდღიურ მუშაობას" — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. ეს განცხადება გვიტოვებს იმის იმედს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება, მართალია, ხვალვე ვერ გადაჭრის აფხაზეთის პრობლემას, მაგრამ დადებით შედეგებს გამოიღებს და არ მიემატება საქართველო — აფხაზეთის კონფლიქტის გარშემო დადებულ უამრავ ხელშეკრულებებს, განცხადებებს და დადგენილებებს, რომელთა ამოქმედება აქამდე ვერ მოხერხდა. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო, თუ როგორ უნდა შეფასდეს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები. პარლამენტში გამართული სამდღიანი დებატების შემდეგ დადგენილებაში ასეთი სახით ჩაიწერა, რომ ეს იყო: „რუსეთის ანტიდემოკრატიული, რეაქციული და სხვა გარეშე ძალების დახმარებით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედება, რომელსაც შედეგად მოჰყვა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, აფხაზეთის ოკუპაცია, დანაშაულებრივი რეჟიმის ჩამოყალიბება, ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი".

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება დაევალა აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას და სეპარატისტულ დაჯგუფებას, როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, საქართველოს, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს კონფლიქტი, რუსეთს, როგორც დაინტერესებულ შუამავალს და გაეროს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას.

დადგენილების მიღების წინ გამართულ მოკლე დებატებში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარემ მამუკა გიორგაძემ განაცხადა, რომ საჭირო არ არის დანაშაულებრივ უმოქმედობაში საერთაშორისო ორგანიზაციებს დავდოთ ბრალი, რადგან გაერო ერთადერთი რეალური შუამავალია აფხაზეთსა და საქართველოს შორის, რომელზეც ქართულმა მხარემ აქცენტი უნდა გააკეთოს. გიორგაძეს კიდევ ერთხელ შეახსენა პარლამენტის წევრებს, რომ პოლიტიკამ, რომელსაც აქამდე აწარმოებდა საქართველო, ვერ გაამართლა და საჭიროა მისი შეცვლა. გიორგაძე იმითაც დაინტერესდა, თუ რატომ ვერ ვბედავთ სიმართლის თქმას რუსეთის სამშვიდობო ძალების მიმართ და რატომ ვეძახით გრაჩოვს დემოკრატს, როდესაც მას დემოკრატად რუსეთშიც კი არავინ თვლის. ეტყობა ბატონ მამუკას დაავიწყდა ქართული ანდაზა: „შეძახილმა ხე გაახმოო". ვუძახოთ ბატონ გრაჩოვს დემოკრატი, ხომ შეიძლება თვითონაც დაგვიჯეროს და ერთ მშვენიერ დღეს გუდაურში დასასვენებლად გადემოკრატებული ჩამოვიდეს. მით უმეტეს, რომ საქართველომ უკვე შეიტანა წვლილი ურჯულო გრაჩოვის გაჭრისტიანებაში და ეხლა თუ დემოკრატიულ სულსაც შთავბერავთ, ამას რა ჯობს. ხუმრობა იქით იყოს, და საქართველოს მხარემ ალბათ სერიოზული ნაბიჯები უნდა გადადგას აფხაზეთის მხარესთან პირდაპირი კონტაქტის დასამყარებლად. რეალური სიტუაციის გათვალისწინებით აშკარაა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები ვერ უზრუნველყოფენ ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებას და მათი საქართველოში ყოფნა გარკვეულად კატალიზატორის როლს ასრულებს კონფლიქტის მიმდინარეობაში.

სესიაზე ითქვა, რომ ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები რუსეთთან სამშვიდობო ძალების ახალი მანდატის თაობაზე. თუ მოლაპარაკება ამჯერადაც უშედეგოდ დამთავრდა, მაშინ ორი თვის ვადაში სამშვიდობო ძალები გაყვანილი იქნება საქართველოს ტერიტორიიდან.

პარლამენტმა დაავალა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელსაც აფხაზეთის საკითხის საკომიტეტო მოსმენაზე უმოქმედობაში დასდეს ბრალი, გაეროს წარუდგინოს აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დამდასტურებელი საბუთები და მოითხოვოს საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა.

პარლამენტმა დადგენილება მიიღო, ჯერი ახლა მის ამოქმედებაზე მიდგა.

ვინ იყო ვინ?

თენგიზ კიტოვანი

მესამე გვერდიდან

ჩვენს შორის იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა პიროვნული დაძაბულობა, სიძულვილი ან გაბოროტება არ ყოფილა. ბ-ნ თენგიზს ეს არ ახასიათებს. ამიტომ ჩვენი შეხვედრები ყოველთვის თბილი და კეთილგანწყობილი იყო. მის პიროვნებაში მომეწონა ადამიანური სითბო, შინაგანი სიკეთე და ჰუმანური მომენტები. მინუსებიდან აღსანიშნავია, რომ იგი პიროვნული მონაცემებიდან გამომდინარე, სახელმწიფო მართვის დონეზე პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი არ ყოფილა.

მას გულუბრყვილობაც ახასიათებს, რომელსაც სახელმწიფო საქმეებში დილეტანტური მიდგომით ზიანი მოჰქონდა, რაშიც თავდაჯერებული არ უნდა ყოფილიყო. ამ კაცს აქვს სურვილი ემსახუროს თავის ქვეყანას და ამით იყო განპირობებული მისი საქციელიც.

კიტოვანის მოქმედება ხშირ შემთხვევაში უმართავი, თვითნებური და სახელმწიფო მეთაურისთვის ძნელად აღსაქმელი იყო. იგი ჯარს ვერ მართავდა, რომელიც არაორგანიზებული იყო აფხაზეთში შესვლისას. კიტოვანს არც მის გაწვრთნა-მომზადებაზე უზრუნია. თვითდაჯერება ჰქონდა, რომ რუსების მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა. ამიერკავკასიის სარდლობაც მის მიმართ კეთილგანწყობილი იყო. ასეთმა პრიმიტიულმა მიდგომამ კი მავნე შედეგი მოგვიტანა.

აფხაზეთში შესვლა კიტოვანის ახირება არ ყოფილა. ეს სამხედრო საბჭოს სხდომაზე გადაწყდა. იქ აღინიშნა, რომ ჯარი ქალაქებში არ უნდა შესულიყო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინაიდან ენგურის გადალახვის შემდეგ ჩვენ კონფლიქტში ჩათრეული აღმოვჩნდით.

ავთანდილ პოპიაშვილი: კიტოვანი ეროვნული მოღვაწე არასდროს ყოფილა

ორივენი „მრგვალი მაგიდის" დეპუტატები ვიყავით. არ მიმაჩნია გამართლებულად, რომ სისტემატურად პრესაში კიტოვანისთანა პიროვნებებზე ამდენი იწერებოდეს, რადგან ეროვნულ მოძრაობაში ის შემთხვევითი პიროვნება იყო, მიკვირდა კიდევაც ვინ იყო ეს კაცი და პირველი სესიების გამართვისთანავე დაინიშნა ჯერ კიდევ არშექმნილი ეროვნული გვარდიის სარდლად. კიტოვანი ეროვნული მოღვაწე არასდროს ყოფილა. შემთხვევითობამ განაპირობა ამ კაცის ამოტივტივება და დადგა დრო ყველაფერს სათანადო შეფასება მიეცეს.

ეს შემთხვევითი პიროვნება გამოყენებულ იქნა გარკვეული ძალების მიერ. ქვეყნის შიგნით შიგა ძალებმა, ხოლო გარეთ — საქართველოს მტრებმა გამოიყენეს. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ გრაჩოვის მეგობრადაც აღიარებდა თავს. გრაჩოვი, კიტოვანთან ქეიფში იგებდა იმას, რომ საქართველოს მოვლენებს ისე ავითარებდა, როგორც რუსეთისთვის იყო სასურველი. იგი შემთხვევითი იყო ეროვნულ მოძრაობაში და სახელმწიფო საქმეებში უაღრესად უარყოფითი როლი შეასრულა. — ეს პრესაში უნდა ითქვას და ამით დამთავრდეს მასზე მსჯელობა.

აკაკი ასათიანი: კიტოვანმა პომპეუსივით დაასკვნა, რომ ეს მისი პირადი ჯარი იყო

კიტოვანი ჩემთან სახლში მოვიდა ახალი პარტიის შექმნის იდეით. მართალი გითხრათ, არავითარი პარტიის შექმნას არ ვაპირებდი. კიტოვანის აზრით, მასაც მონარქისტული პარტია უნდა რქმეოდა. მე შევთავაზე ტრადიციონალისტთა კავშირის აღდგენა. თავმჯდომარე მე ვიყავი, კიტოვანი კი მოადგილე გახლდათ. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კიტოვანსაც თანამდებობის დაკავების სურვილი გაუჩნდა. მას პრეტენზია რამდენიმე სამინისტროზე ჰქონდა, მაგრამ არ გამოუვიდა. სიგუას დანიშვნის შემდეგ კი თავდაცვის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. ეს არ იყო საპარლამენტო, არამედ მთავრობასთან არსებული კომისია გახლდათ. ვთვლი, რომ კიტოვანს რაც ეკალებოდა, ის გააკეთა, გვარდია ჩამოაყალიბა, ოღონდ პომპეუსივით დასკვნა, რომ ეს მისი პირადი ჯარი იყო, რასაც თავი იჩინა გადატრიალების დროს, თუმცა დანამდვილებით ვიცი, რომ კიტოვანი თავიდანვე ომის მომხრე არ ყოფილა. ეს კი ბატონ თენგიზს კარგად ახასიათებს. ორივე ბანაკში იყო ხალხი, რომლებიც სხვა ქვეყანაზე მუშაობდნენ და მიზანდასახულად მიიყვანეს ამ პროვოცირებულ ომამდე. ამაში ზოგ პოლიტიკურ პარტიასაც ეადანაშაულებ, რომლებიც შეგნებული წამქეზებლები იყვნენ. ვფიქრობ, კიტოვანი მოვლენების მსხვერპლი უფროა, ვიდრე დამნაშავე. არ მომწონს ყველაფრის მასზე გადაბრალება. იგი ჯარისკაცებსაც უყვარდათ. მის დროს ჯარს ტყეია-წამალიც, საჭმელიც ჰქონდა, მასზე უკეთეს შედეგს სხვა სარდლებმა ვერ მიაღწიეს. არ დაგიმალავთ, რომ რკონში კიტოვანი პირადად ვნახე, იგი თავდაცვის მინისტრობას ითხოვდა. ამის შესახებ ზეადის კუთხარი, რითაც არაფერი დაშავდებოდა. აფხაზეთში კი კიტოვანი სამხედრო საბჭომ გააჩერა. მან თავად თქვა, ნუ გამაჩერებთ, ამის გაკეთება არ შეიძლებაო. ახლა ამის შესახებ ყველა დუმს. მე კი ვიცი დანამდვილებით საქმე როგორც იყო — ჩვენი მაშინდელი ხელმძღვანელობა რუსებმა შეაგულიანეს და ხაფანგში გააბეს.

რესპონდენტებს ესაუბრა
გუგაზ მეგრელიძე

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

სახელმწიფო კანცელარიაში «გამოსაშვები» გამოცდები დაიწყო

პირველი გვერდიდან

ყოველ დღე, დილის 10 საათზე, ჩვენი ძვირფასი მაღალი თუ დაბალი პოსტის მქონე სახელმწიფო ჩინოვნიკები შედიან გამოცდაზე, იღებენ ბილეთს და აბარებენ წერილობით გამოცდას. ეს პროცესი არანაკლებ მტკივნეულია, ვიდრე აბიტურიენტების გამოცდები. აბა როგორი წარმოსადგენია, ჩაჰალსტუხებულ-ღრმადპატივცემული დიდი ჩინოვნიკი ოჯახში რომ მივა და ჩავიჭერი, ანუ ცხოვრების სახსარი დავკარგეო, — მეუღლეს რომ ეტყვის. აბიტურიენტს ასეთ შემთხვევაში ამხნევებენ ხოლმე, არა უშავს, მომავალში სცდი ბედსო, ამ ჩვენს ძვირფას ჩინოვნიკს კი, უკეთეს შემთხვევაში, თმები სულ ღერაღერა შეიძლება დააგლიჯოს ცოლმა...

მოკლედ, სახელმწიფო კანცელარიის მუშაკთა უფლებები, დღეს, როგორც ჩანს, ადამიანის უფლებების შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენს. „გამოსაშვები" კომისიის თავმჯდომარე გახლავთ ბატონი პეტრე მამრაძე.

მაგარი ის არის, რომ გამოცდების ჩაბარება არ ევალებათ სხვადასხვა სამსახურების პირველ პირებს, ალბათ, იმ მოტივით, რომ ჭკუა და ნამოქმედარზე პასუხისმგებლობა ყველას მოეკითხება, გარდა პირველებისა...

ან მეორე ვარიანტიც არსებობს, ხელმძღანელი პირები ჩვენში ან პრიორულად ჭკვიანი ადამიანები არიან და კონკურსგარეშე დგანან, ან ამ თანამდებობებზე დეგენერატებია საჭირო...

დამნაშავეთა სამყარო

9 აპრილი გარეწართა კასტამ ასე აღნიშნა...

9 აპრილს, როცა მთელი საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ზეიმობდა, ჩვენი ხალხი, ერთი სიტყვით, როცა ეს ტკივილიან — სიხარულიანი დღე აღინიშნებოდა და როცა, სხვათაშორის, „რატომღაც" რუსთაველის პროსპექტზე პოლიციის დიდი ძალებიც იყვნენ თავმოყრილნი, გარეწართა კასტა ახალ საგმირო საქმეთა ჩადენაზე ფიქრობდა.

9 აპრილს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს ზეიმობდა ჩვენი ხალხი, ერთი სიტყვით, როცა ეს ტკივილიან — სიხარულიანი დღე აღინიშნებოდა და როცა, სხვათაშორის, „რატომღაც" რუსთაველის პროსპექტზე პოლიციის დიდი ძალებიც იყვნენ თავმოყრილნი, გარეწართა კასტა ახალ საგმირო საქმეთა ჩადენაზე ფიქრობდა.

მუხიანში მცხოვრებ მარინე აკაკის ასულ ლურსმანაშვილის ბინაში, დაახლოებით ღამის 10 საათზე უცნობმა პირებმა ზარი დარეკეს.

კარი ნახევრად გამოაღო (ჯაჭვი არ ჩაუხსნია) 11 წლის ბიჭუნამ. „სტუმრებმა" ბარათი გაუწოდეს მამისათვის გადასაცემად, რომელიც ოჯახში არ იმყოფებოდა. შემდეგ ბიჭს სთხოვეს ტელეფონზე დაგვარეკინეო.

ბავშვმა მინდობილად კარი გაუღო დაუპატიჟებელ სტუმრებს და დაიწყო საშინელებაც.

ყაჩაღებმა თოკებით სკამებზე მიაბეს ბავშვი და მისი დედა 41 წლის მანდილოსანი. პირი აუკრეს და დაიწყო მათი წამება ფულის გამოძალვის მიზნით. ითხოვდნენ დიდძალ დოლარებს, რაც ოჯახის დიასახლისს არ ჰქონდა. გაბოროტებულმა მძარცველებმა 17 ჭრილობა მიაყენეს ქალს სხეულზე. ბავშვიც სცემეს, რისი წაღებაც შეიძლებოდა, ხელს გააყოლეს და წავიდნენ. უფრო სწორედ, ოთხი „რეისი" გააკეთეს. მე-6 სართულიდან 4-ჯერ ჩაიტანეს სხვადასხვა ნივთები და მშვიდად გაემართნენ თეთრი 06 მარკის ავტომანქანით.

11 წლის ბიჭმა მძარცველთა წასვლის შემდეგ მოახერხა კართან მიჩოჩებულიყო და ვინაიდან ხელ-ფეხი გაკოჭილი, ხოლო პირი აკრული ჰქონდა, იძულებული გახდა რკინის დახურული კარისთვის თავი ერტყა და ამ გზით შეეტყობინებინა მეზობლებისთვის...

ასე დაასახიჩრეს ფიზიკურად და სულიერად 9 აპრილს კიდევ ერთი ქართული ოჯახი, ოღონდ უკვე არა ჩრდილოეთიდან გამოგზავნილებმა, არამედ ჩვენივე თანამოქალაქეებმა.

საქმე აღძრულია, ვნახოთ როგორ იმოქმედებს გლდანის რაიონის პოლიცია.

სასტუმრო „ინტერ-ნეიბორ"

პროცესუალური გამოძიება გარდაუვალია, სასამართლო გარდაუვალია

ცინიზმის ზეიმი რუსთაველის გამზირზე

1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე სსრკ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილებმა გენერალ-ჯალათ რადიონოვის მეთაურობით თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მომწამლავი ნივთიერებებისა და მესანგრეთა ნიჩბების გამოყენებით მოკლეს 21 და მოწამლეს ოთხი ათასი კაცი, ქალი და ბავშვი. დახოცილები და მოწამლულები ატარებდნენ მშვიდობიან ანუ არაძალადობით პოლიტიკურ აქციას საქართველოს დამოუკიდებლობის ლოზუნგით. ვისი ბრძანებით იქნა ჩადენილი ეს დანაშაული, ოფიციალურად ცნობილი არ არის, ვინაიდან პროცესუალური გამოძიება ამ დანაშაულის შესახებ დღემდე არ ჩატარებულა არც კომუნისტური ხელისუფლების დროს, ანუ 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე, არც ამ არჩევნების შემდეგ დამყარებული ხელისუფლების დროს, არც პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას დამხობის შემდეგ, როცა ხელისუფლების სათავეში იყო ჯერ „სამხედრო საბჭო“ (იოსელიან-კიტოვან-სიგუას ტრიუმვირატი), შემდეგ კი „სახელმწიფო საბჭო“ შევარდნაძის თავმჯდომარეობით (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — კვლავ თ.სიგუა) და არც 1992 წლის 11 ოქტომბერს შევარდნაძისავე თავმჯდომარეობით არჩეული საქართველოს პარლამანტის მიერ. ჩატარდა მხოლოდ საპარლამენტო გამოძიება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის მიერ (თავმჯდომარე თ.შავგულიძე), რომელშიც მეც შევდიოდი, როგორც საზოგადოებრიობის წარმომადგენელი, და საპარლამენტო გამოძიება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე სობჩაკი. საქართველოს უზენაესი საბჭოს კომისიას, რომლის წევრიც გახლდით, ასევე კომისიის წევრმა, გენერალ-ლეიტენანტმა ირაკლი ჯორჯაძემ, ოფიციალურად წარუდგინა განცხადება რუსულ ენაზე ორნახევარი გვერდის მოცულობით, რომლის შინაარსიც საზოგადოებისათვის ცნობილია. განცხადებაში ნათქვამი იყო: „როცა 1956 წლის 9 მარტს თბილისში მოხდა ახალგაზრდობის მასობრივი დახვრეტა, არ იყო ცნობილი, ვისი გაცემული იყო ცეცხლის გახსნის ბრძანება, მაგრამ ამჟამად გარკვეულია, რომ იგი გაცემული იყო ხრუშჩოვის მიერ, რომ დღეს ცნობილი არ არის, ვინ გასცა 9 აპრილის მასობრივი მკვლელობის ბრძანება, მაგრამ თუ გავაანალიზებთ სსრკ შეიარაღებული ძალების სტრუქტურას, დავინახავთ, რომ არსებობს ერთადერთი თანამდებობა, რომლის დამკავებელსაც უფლება აქვს აამოქმედოს არმიაცა და შინაგანი ჯარიც. ეს არის სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, იგივე სსრკ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, იგივე კომპარტიის გენერალური მდივანი ანუ გორბაჩოვი. განურჩევლად იმისა, შენახულია აწ განსვენებულ გენერალ ჯორჯაძის განცხადება თუ განადგურებულია, მის მიერ შემოთავაზებული დასაბუთება ძალაში გახლავთ. ამგვარად, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ 9 აპრილის დანაშაულის უმაღლესი ჩამდენია გორბაჩოვი. ამ ფაქტს მოგახსენებთ მხოლოდ როგორც მოწმე, თორემ პოლიტიკაში ჩაბმული კაცის ან დღეს არსებული ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლის როლში რომ გესაუბრებოდეთ, სხვაც მექნება სათქმელი. ბევრი კითხვაა დასასმელიც და საპასუხოც.

ოფიციალურად ცნობილია, რომ 1989 წლის 9 აპრილს იმ კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი და იმ დროს სსრკ-ს ერთ-ერთი ლიდერი შევარდნაძე, პოლიტბიუროს მეორე წევრთან რაზუმოვსკისთან ერთად თბილისში იმყოფებოდა. ითვლება, რომ მას ოპერატიული მართვის გარკვეული უფლებამოსილება გაჩნდა იმ შეიარაღებული ძალების მიმართ, რომლებმაც 9 აპრილს დამსჯელი აქცია შეასრულეს და თბილისში სამხედრო მდგომარეობის განხორციელებას განაგრძობდნენ. ყოველ შემთხვევაში, როცა მე ვკითხე შევარდნაძეს 1989 წლის 10 აპრილს ნაშუადამევს (ამის საშუალება მომეცა), აქვს თუ არა მას ამ შეიარაღებული ძალის მოქმედებაზე ზეგავლენის საშუალება, მან დადებითი პასუხი მომცა (როგორც ვეტყვი, ისე მოიქცევიანო). ამასაც მოგახსენებთ, როგორც მოწმე. საუბრის მესამე მონაწილე იყო ნიკოლოზ (ნიკო) ჭავჭავაძე. ამგვარად, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ შევარდნაძის ზემოხსენებულ უფლებამოსილებას გარკვეული წვლილი ედო იმ ფაქტში, რომ სამხედრო მდგომარეობა თბილისში შედარებით ადრე (რამდენიმე დღეში) მოიხსნა.

მე არ ვიცი, რას ემყარებოდა იმ დროსვე თბილისში გავრცელებული ხმა, რომ შევარდნაძე თბილისში დამსჯელ აქციაზე უფრო ადრე იყო ჩამოსული ისევე, როგორც არ ვიცი, რომელი საათიდან და წუთიდან მიიღო შევარდნაძემ (თუკი თბილისში დამსჯელი აქციის შემდეგ ჩამოვიდა) ზემოხსენებული მმართველი უფლებამოსილება იმ შეიარაღებული ძალების მიმართ. მაგრამ იქიდან, რაც უკვე მოგახსენეთ, შემიძლია დავასკვნა: შევარდნაძეს მაშინაც ჰქონდა და ახლაც აქვს, სულ ცოტა, იმისათვის შუქის მოფენის შესაძლებლობა, თუ რა ინსტრუქციებით მიმდინარეობდა ზემოხსენებული ფაქტი, ვისი იყო ეს ინსტრუქციები, რა იყო იმ დროს საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების გენერალური გეგმა და რა ცვლილებები შეიძლება იყოს მასში შესული დღეს. რა იყო ამ რეპრესიის ძირითადი მოტივი. ეჭვს არ იწვევს: ეს იყო დანაშაულებრივი შეიარაღებული ძალების მოქმედება. ეს იყო რუსული იმპერიისათვის მარად ძველი და მარად ახალი მიზანი — ქართველი ერის დასჯა დამოუკიდებლობის იმ მტკიცე ნებისათვის, რომელიც მან ყველაზე მკაფიოდ გამოხატა 25 თებერვლის სამგლოვიარო აქციის დროს, მაგრამ ამ ძირითად მიზანს საერთაშორისო ვითარებით განსაზღვრულ დიპლომატიური ილეთებისა და საპროპაგანდო ინტერესების ფართო სპექტრი ეხვია, მათ შორის — ის ფართო ზოგადპოლიტიკური მოტივი, რომელიც მე შემთხვევით (და, არ დავმალავ, გაკვირვებით) შევიტყვე სამ თბილისელ და სამ პარიზელ ქართველთან ერთად, ერთ გამოჩენილ ფრანგ პოლიტიკოსთან საუბარში 1989 წლის ივნისში: არის თურმე ვერსია, რომ 9 აპრილს დანაშაულისაკენ რუს გენერალიტეტს გორბაჩოვის რეფორმატორულმა გუნდმა იმ მიზნით უბიძგა, რომ რუსული მხედრული პრესტიჟი დაექვეითებინა და პრორუსული ძალებისათვის მათზე გამარჯვება გაეადვილებინა. იმგვარად, ჩვენი ბავშვებისა და ახალგაზრდების სისხლი სსრკ რეფორმების წმინდა საქმეს გამოსდგომია: ამ ინფორმაციის გასაჯაროება, უდავოდ, იქნებოდა ძლიერი შემაკავებელი ფაქტორი, რომელიც შეასუსტებდა მსოფლიოს ერთ-ერთი სუპერძალის შემოტევას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და დიდძალ სისხლსა და სხვა დანაკარგს დაგვიზოგავდა. რამდენადაც ამ ინფორმაციის განსაჯაროება არ მომხდარა, მე ვთვლი, რომ საქართველოს დღევანდელმა პრეზიდენტმა შევარდნაძემ, თუ იგი იმ დროს საქართველოს მიმართ მოვალეობის მქონედ, ანუ საქართველოს ნაწილად თვლიდა თავს, იმ დროს თავისი მოვალეობა არ შეასრულა. ვთვლი, რომ თავის მოვალეობას იგი დღესაც არ ასრულებს, ვინაიდან სსრკ სამართალმემკვიდრის — რუსეთის ანტიქართული მოქმედების პოლიტიკური გზებით შეკავების ამოცანა თავის აქტუალობას დღესაც სრულიად ინარჩუნებს.

მას შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ მრავალი დანაშაული იქნა ჩადენილი. არა მარტო გარე ძალების, არამედ საქართველოს მოქალაქეებისა და სხვა ქართველების მხრიდანაც. ქართველი ერი „მომზადებულ იქნა“ ესენგეში შესასვლელად ტერიტორიების ხელოვნური დაკარგვინების, მსხვერპლის, სისტემად ქცეული ბანდიტიზმის, ხელოვნური შიმშილობის, უპრეცენდენტო კორუფციის, უსამართლობისა და განუკითხაობის ზღვარდაუსრულებელი აყვავების გზით. მე ვთვლი, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების კურსი — როგორც პრეზიდენტისა, ისე პარლამენტისა მის უმრავლესობაში არის ქვეყნის ეკონომიკური, სტრატეგიული და მორალური ნგრევის კურსი რუსეთისადმი მისი შემდგომი დაქვემდებარების მიზნით. ეს ჩემი აზრი გახლავთ და მას თავს არავის ვახვევ. მაგრამ ფაქტები, რომლებიც ამ კურსის კონკრეტულ დეტალებს და ჩვენს წინაშე მდგომ დღევანდელ კონკრეტულ საშიშროებას გვიხასიათებენ, ჩემი არ გახლავთ, არამედ ობიექტური ფაქტებია, რომელთა დანახვა და სათანადო დასკვნის გამოტანა ყველას ძალუძს. ფაქტები ის გახლავთ, რომ რუსეთის დუმამ ხმათა უდიდესი უმრავლესობით განაცხადა ჩვენი ქვეყნის კვლავ ანექსირების სურვილი; რომ დღეს — რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილი ორი თვის მანძილზე, მაგრამ არა მას შემდეგ — რუსეთს საგარეო-პოლიტიკური გამარჯვებების მოპოვების უკნასკნელი და უნიკალური შანსი აქვს, რაკი ელცინის არჩევით დაინტერესებული დასავლეთი მას ამ ხნის მანძილზე იმდენს დაუთმობს (რათა „ქულები“ მოუტანოს), რამდენსაც არასოდეს აღარ დაუთმობს სხვა დროს, და რომ ჩვენი თავისუფლებისათვის ამიტომ ეს ორი თვე განსაკუთრებით საშიშია. რომ სწორედ ახლა გვესმის რუსეთის ტელევიზიის სისტემატიური განცხადებები, შევარდნაძე ლუკაშენკოს გზის .მიყოლას აპირებს და საქართველოს სახელით ხალხთა საპყრობილესთან ახალ გაღრმავებულ „ინტეგრაციაზე“ ხელის მოწერა უნდაო, რომ სწორედ ახლა ხდება ცნობილი პურპროდუქტებით მომარაგების რეფორმების გეგმები, რომლითაც ეს დარგი ფაქტობრივად გამოვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სფეროდან და აპოლიტიკურ მაფიად შენიღბული უცხო აგენტურის ხელში გადავა (მრავალი სხვა დარგივით), რათა შიმშილის ამ უკანასკნელი ზღუდის გადალახვით ხალხის ეროვნული ნების უკანასკნელი ნასახიც ჩაიკლას (ამ ღონისძიების აბსურდულობის საილუსტრაციოდ შეგახსენებთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს თავისუფალი ეკონომიკის სამშობლომ — ინგლისმა სახელმწიფოებრივად დააკისრა მიწათმფლობელებს ხორბლის მოყვანა უფრო შემოსავლიანი, მაგრამ სტრატეგიულად ნაკლებმნიშვნელოვანი კულტურების ნაცვლად). შემთხვევითია სამხედრო-სტრატეგიული მუქარისა და შიმშილით მუქარის ეს კომბინაცია? იგი შეთქმულებას უფრო ჰგავს და რაკი ჰგავს, ცხრა აპრილის სამგლოვიარო მიტინგზე სახელმწიფოს მეთაური ვალდებულია შეჰფიცოს სამართლიანი ეჭვებით მოცულ ერს, რომ იგი ლუკაშენკოს გზაზე დადგომას არ შეეცდება და სამშობლოსათვის შეწირულ პატრიოტთა წმინდა სისხლს წყალს არ გაატანს. ასეთი ფიცი 1996 წლის აპრილის მიტინგზე არ დადებულა. არც იმის პირობა თქმულა, რომ 1989 წლის 9 აპრილის დანაშაულის პროცესუალური გამოძიება მოხდება დღევანდელი ხელისუფლების ხელში, ან სხვა დანაშაულების, რომლებიც ცას შეჰღალადებენ და სასჯელს ეჩითხვენ. სამაგიეროდ დილის 4 საათზე სანოლებიდან მოსული პატრიოტები შაინც დაარბიეს და უმშელობით ძალადამოლეული ქალები კასპში შარაგზაზე დაყარეს.

გამოძიება და გასამართლება, რა თქმა უნდა, მაინც შესდგება, მაგრამ არა ამ ხელისუფლების ხელში, არამედ ეროვნული ხელისუფლების ხელში. საკმარისზე მეტი საფუძველია იმისათვის, რომ გასამართლდნენ „ესენგეში“ საქართველოს შესვლაზე და სხვა ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებზე ხელის ამწევი დეპუტატებიც, რადგან ამ გადაწყვეტილებათა მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ვნება უკვე ხილულია და ამ დეპუტატთა გამართლება მხოლოდ მათი დანაშაულის უნებურობის საფუძველზე თუ შეიძლება (რაც, მოგეხსენებათ, ძალიან ძნელი დასამტკიცებელია და, გარდა ამისა, მხოლოდ დანაშაულის შემსუბუქებისათვის თუ გამოდგება და არა მისი უარყოფისათვის). დღეს მეზობელი ზესახელმწიფო თითქმის შეუნიღბავ ომს ეწევა ჩვენს წინააღმდეგ და დიდი გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ საქართველოს ის თანამდებობის პირი, რომელიც ამ ომში მონაწილეობს მოწინააღმდეგის მხარეზე, შეიძლება დაუსჯელი დარჩეს.

მე მგონი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იღებს მტრის ამ გამოწვევას, უფრო მეტიც, მას იღებს ქართველი ერი, რადგან ამ ომში კაპიტულაცია ჩვენი ერის მომავლისა და ქვეყნის განწირვაა. ჩვენ მას არ წავაგებთ. მთავარია ერის ძალთა მობილიზაცია სახელმწიფოებრიობის ყველა ძირითად დარგში ძლიერი და მრავალრიცხოვანი კადრების შექმნით, რომელსაც შეუძლია სწრაფად აიღოს ქვეყნის მართვა თავის ხელში, რათა არანაირი ადგილი არ რჩებოდეს კორუმპირებულ კომუნისტურ პარტოკრატიას, რომელიც საქართველოს დღეს უცხო პოლიტიკოსისა და საკუთარი ჯიბის კარნახით მართავს.

იმპერიის იარაღი კოლონიების წინააღმდეგ ამ 70 წლის მანძილზე იყო დაპყრობილ ქვეყნებში ძლიერი ანტიეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა. იგი შექმნეს, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი ისტორიამ დაანგრია. ახლა იმპერიის იარაღია განთავისუფლებულ კოლონიებში მათი საკუთარი სახელმწიფოებრიობის საბოტირება და ნგრევა. ამასაც ახერხებენ. ჯერ 1991—92 წლების გადატრიალებამ და „სამხედრო საბჭომ“, შემდეგ შევარდნაძის ოთხწლიანმა მმართველობამ ქართველი ერის მიერ თავის მართვის ყველა მექანიზმები ჩაჭრა, დათრგუნა და მათი პარალიზება მოახდინა. კითხვა „თუ შევარდნაძე არა, მაშ ვინ?“ ჩვენი ქვეყნის რეალობად იქცა და სწორედ მან განაპირობა ის გარემოება, რომ საქართველოს მოსახლეობის 38%-მა ხმა მისცა ამ კანდიდატურას, მიუხედავად იმისა, მისი არც ნდობა, არც პოლიტიკური სიმპათია არ ჰქონია. სანამ ეს მდგომარეობა გაგრძელდება, საქართველოს ხსნის იმედი ვერ ექნება.

ნოდარ ნათაძე



ᲬᲣᲗᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ - ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

კᲣᲠᲘᲝᲖᲘᲡᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

«ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲯᲐᲛᲑᲐᲖᲝᲑᲐᲐ, ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲝᲑᲐᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ...»

გია ფერაძე

ᲮᲝᲛ არიან ადამიანები, მუდმივად რომ იმყოფებიან საზოგადოების ყურადღების ცენტრში, მათზე მუშაობენ საინფორმაციო საშუალებები. ზოგს ,,დიდების კართან'' მიივიწყებენ, ზოგს კი სიკვდილის შემდეგღა ,,აღმოაჩენენ'' ხოლმე... რა არის ეს? ინტერესის ამოწურვა, აქციდენციურობა, განსჯა... იქნებ ხშირად იმაზე მეტს ვიტვირთავთ ხოლმე, ვიდრე ამის უფლებას ჩვენივე ზნეობა გვაძლევს. და მაინც, რომელი ჩვენგანია პრევალირებული და მსაჯულის უფლებით აღჭურვილი. ყველას გახსოვთ ის კაცი, ,,ძველი არტისტი'', როგორც თვითონ უწოდებდა თავს. იყო როლები მთავარი და არამთავარი, იყო ცხოვრება მთელი თავისი სიმძაფრით, შემდეგ იყო სიყვარული, შემდეგ იყო შემთხვევა, რამაც მისი ოჯახის ცხოვრება საბედისწერო გახადა, შემდეგ კი — წლები, გატარებული პატიმრობაში... შემდეგ იყო ისევ თავისი საყვარელი ქალაქი. მეგობართა გამეჩხერებული წრე, თეატრი... ბოლო წლებში მძიმე ავადმყოფობა აწუხებდა. მაინც მოულოდნელი იყო, როცა გია ფერაძის გარდაცვალება გავიგე.

გიაზე ვერ ილაპარაკებ, როგორც მარტო მსახიობზე. გია თბილისის კოლორიტი იყო. 20 აპრილს მას 48 წელი შეუსრულდებოდა. სწორედ ამასთან დაკავშირებით გვინდა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი ხანდახან ოდნავ ბულვარული იუმორი, მისი ანეგდოტებადქცეული თავგადასავლები. მისი ყოველი გამოჩენა ხომ ყველასათვის ღიმილი იყო, რადგან გია, თავისი არტისტული ბუნებით, თავად იყო კურიოზის განსახიერება. ამიტომ არ შემიძლია მასზე, როგორც გარდაცვლილ ადამიანზე ლაპარაკი. მისი დედაც — ქალბატონი თინა ჟორჟოლიანი ღიმილის გარეშე ვერ იხსენებს ამ თავგადასავლებს. სწორედ მისი თუ თვითონ გიას მონათხრობიდან მინდა გავიხსენოთ დღეს გია ფერაძე.

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲝᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲞᲘᲚᲞᲘᲚᲘ

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ გია ფერაძე შეხვდა თავის მეგობარს ლაშა თაბუკაშვილს და იქვე გაჩნდა იდეა, ეყიდათ ხორცი, აეტანათ ლაშასთან და გაეკეთებინათ ხინკალი. უცებ მოაბეს თავი ყველაფერს, იყიდეს რაც საჭირო იყო., არც არაყი დავიწყებიათ და ავიდნენ ფიქრის გორაზე. სანამ საღილს მოუმზადებდნენ, ორივენი გვარიანად შეზარხოშდნენ. ლანგარზე დაწყობილი ხინკალი რომ შემოიტანეს, გია მარტო იყო ოთახში. ბევრი ეძება შავი პილპილი, მაგრამ მაგიდაზე ვერსად მიაკვლია. უცებ შენიშნა, რომ წიგნის თაროზე, ყუთში რაღაც შავი ფხვნილი ეყარა, ბევრი აღარ უფიქრია, ამოიღო და მოაყარა ხინკალს. მაგრამ როგორც კი ჩაკბიჩა, ლუკმა კბილებში აუკნატუნდა. უკმაყოფილოდ დაიღმიჭა და სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში ლაშა, როგორც კი დაინახა ეს სურათი, იყვირა: რა ქენი, შე... თამარაშვილი მოაყარე ხინკალსო?

თურმე ეს ის პერიოდი იყო, როცა ბატონმა რეზო თაბუკაშვილმა მიხეილ თამარაშვილის ნეშტი ჩამოასვენა საქართველოში და იმ დღეებში ურნა მის სახლში ესვენა. მერე ისე განაწყენებულა ბატონი რეზო, რომ რამდენიმე ხანი ხმას არ სცემდა მათ.

ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ «ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲘᲡ» ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ...

ᲒᲘᲐ ᲤᲔᲠᲐᲫᲔᲛ ერთხელ მექსიკიდან ჩამოიტანა ერთი სახუმარო სათამაშო — რეზინისგან დამზადებული, საოცრად ნატურალური შესახედაობის „განავალი". წაიღო ეს „განავალი" სანაპიროზე, ცენტრალურ საცურაო აუზზე, სადაც ის დილაობით დადიოდა ხოლმე, ჩააგდო წყალში, „განავალი" წყლის ზედაპირზე ატივტივდა. ამ დროს მაშინდელი ერთ-ერთი მინისტრის ცოლი ემზადებოდა წყალში გადასახტომად და... რას ხედავს... წყალში განავალი გდია. ატეხა წივილ-კივილი, შეიყარა მთელი ადმინისტრაცია, მოირბინა დირექტორმაც, რომელიც გაოცებული იჩეჩავდა მხრებს და . უკვე მერამდენედ იმეორებდა, წყალი ამ დილას გამოვცვალეთო. ყველა შეშინებული ჩანდა, იცოდნენ, რომ ასეთი ინციდენტი მინისტრის ცოლთან უმტკივნეულოდ არ ჩაუვლიდათ. სწორედ ამ დროს ჩახტა წყალში გია ფერაძე, ამაზე ნერვიულობთო, ქალბატონო, იკითხა და ბრასით მიცურდა „განავალთან", მშვიდად ჩაკბიჩა და ამოიტანა ხმელეთზე. იქ შეყრილმა, აჩოჩქოლებულმა ხალხმა კარგა ხანს ვერ გაიაზრა, რა ხდებოდა, ხმა ჩაუწყდა მინისტრის მეუღლესაც, რომელსაც ალბათ ეგონა, რომ ფერაძემ მისი მომხიბვლელობის ხათრით ჩაავლო კბილები განავალს და ამოიტანა ნაპირზე.

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲠᲔᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲜᲘᲦᲑᲘᲗ

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ კი ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის — რეიგანის ნიღაბი ჩამოიტანა გიამ პარიზიდან. ეს ის პერიოდია, როცა ერთი ჩვენი პოლიტიკური მიმომხილველი გაუთავებლად აკრიტიკებდა რეიგანის პოლიტიკას. ერთხელაც, ეთერში გასვლისას მიმომხილველმა პრეზიდენტისადმი მიძღვნილი, გასაქილიკებელი ტექსტი ასე დაასრულა: ეტყობა, რეიგანს ავიწყდება ერთი ქართული ანდაზა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო... — და სტუდიიდან გამოვიდა. ოთახში გინებით შევარდა რეიგანის ნიღბიანი ფერაძე. ნიღაბი, მოგეხსენებათ, უნაკლოდ იქნებოდა დამზადებული და დაზაფრული მიმომხილველი ანგარიშმიუცემლად იმართლებდა თავს, სანამ არ გამოერკვა და ახლა ის არ გაეკიდა გინებით ახარხარებულ „პრეზიდენტს".

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲖᲔ

ᲡᲣᲚ რაღაც 8 წლის იყო გია ფერაძე, როცა ჩვენს პოეტს იოსებ გრიშაშვილს საიუბილეო საღამო გაუმართეს. თუმცა, იუბილარს გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია მასპინძლობდა, მაგრამ თვითონ კომუნისტები იმ პერიოდში ცოტა ცუდად იყვნენ განწყობილნი მისი შემოქმედებისადმი. იოსებ გრიშაშვილმა ამ საღამოზე მიიწვია გიას მშობლები ბატონი ბიძინა ფერაძე და ქ-ნი თინა ჟორჟოლიანი. ქ-ნმა თინამ წინა საღამოს გიას მთელი გულმოდგინებით დაასწავლა იუბილარის ლექსი „ონავარი" და დაარიგა, სცენაზე რომ გახვალ, სანამ ლექსის სათაურს იტყოდე, გამოაცხადე ლექსი აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილისა-თქო. ბავშვს ძალიან გაუჭირდა ამ წინადადების დამახსოვრება, თუმცა, ბოლოს დაიზეპირა. მეორე დღეს დედამ საღამოზე წაიყვანა. მოვიდა პატარა გია ფერაძის გამოსვლის დროც. ბავშვი სცენაზე ავიდა და მთელი რიხით განაცხადა: ლექსი აქ დამეკიდოს იოსებ გრიშაშვილისაო. მთელმა დარბაზმა გადაიხარხარა. იცინოდა თვითონ პოეტიც. მან გადაუსვა ბავშვს თავზე ხელი და უთხრა: რაო, ბიძია, შენც მანდ მიკიდებ, ისედაც ყველამ მანდ დამიკიდაო.

ნაპოვნია შიდს-ის წამალი

პირველი გვერდიდან

გან, არამედ, რაც უფრო შესანიშნავია, ინფიცირების წინ ან მალე მის შემდეგ შეყვანისას მტკიცედ შეწყვიტა ვირუსის დამანგრეველი მოქმედება.

ჩეხი მეცნიერების აზრით, RMRA სერიოზულ იმედებს იძლევა შიდს-ით დაავადებულ პაციენტებთან მომუშავე ექიმების დასაცავად. და, რაც მთავარია, ყველას აღმოუჩენს პირველ „სასწრაფო“ დახმარებას სარისკო ღამის შემდეგ. ჩეხეთის ინსტიტუტის დირექტორის ა.გოლას სიტყვებით, ადრე არსებული პროფილაქტიკურ პრეპარატებს ასეთი მახასიათებლები არ გააჩნდათ.

პარალელურად შემუშავებულია პრეპარატი Vestide–R, რაც აღადგენს შიდს-ის დროს დაკარგულ მხედველობას. მარტში ეს პრეპარატი აღიარეს აშშ-ში. მის დამზადებაზე ლიცენზია აიღო ამერიკულმა ფირმამ „Gilead Seinces“. მანვე მიიღო ლიცენზია RMRA-ზე, მისი კლინიკური გამოკვლევები დაიწყება 1997 წელს. თავად პრეპარატის გამოშვებას, სამწუხაროდ, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყებენ.

მუტალიბოვი კვლავ ბორკილებშია

აზერბაიჯანის ექს-პრეზიდენტის სახელი კვლავ იქცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების ობიექტად. გასული კვირის ბოლოს მოსკოვის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაკავეს აზერბაიჯანის სახელმწიფოს ყოფილი მეთაური, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ემალებოდა რუსეთში აზერბაიჯანის მართლმსაჯულებას, როგორც იტყობინება აზერბაიჯანის ნაციონალური უსაფრთხოების მინისტრი ნამიკ აბასოვი, მუტალიბოვი „შემთხვევით“ დაპატიმრეს: სამართალდამცავი ორგანოები მოსკოვის ერთ-ერთ ბინაში აპირებდნენ აეყვანათ ჰორშა იბრაჰიმოვი, რომელიც „აგროვებდა“ ფულს მუტალიბოვისათვის მთელს აზერბაიჯანში, იქ კი თავად ექს-პრეზიდენტი აღმოჩნდა, ნამიკ აბასოვმა დაპატიმრების კიდევ ერთი პიკანტური დეტალი გვამცნო: აიაზ მუტალიბოვი გვიან ღამით იმ ბინაში მარტო კი არ იმყოფებოდა, არამედ ვიღაც რენასთან ერთად. ის ქალბატონი ასევე დააკავეს.

ორი დღის შემდეგ მოსკოვში დააპატიმრეს აზერბაიჯანის ყოფილი თავდაცვის მინისტრი რაგიმ გაზიევი, რომელიც ასევე შედიოდა მუტალიბოვის ჩამოყალიბებულ სამოქალაქო თანხმობის კავშირში და ახლა დღის წესრიგში დგას, გადასცემს თუ არა რუსეთის ხელისუფლება აზერბაიჯანს ამ ორ დამნაშავეს. აბასოვის სიტყვებით: „მოსკოვში არის ძალები, რომლებიც დაინტერესებულები არიან მუტალიბოვის რუსეთში დატოვებით თავიანთი მიზნების განსახორციელებლად“.

იმავდროულად მუტალიბოვის სამშობლოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 1990 წლის იანვარს ბაქოში საბჭოთა ჯარების შეყვანის თანადგომისათვის, როცა დაიღუპა 135 ადამიანი. აგრეთვე, სომხეთის ჯარებისათვის ქალაქ ხოჯალის გადაცემისათვის და ორი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისათვის (1994 წლის ოქტომბერში და 1995 წლის მარტში). ბოლოს, მთავარი კოზირი — აიაზ მუტალიბოვი ჰეიდარ ალიევის „ბატონიშვილი“ — ეროვნული სწორედ მუტალიბოვი ცხოვრობდა მოსკოვიდან ბაქოში ალიევის დაბრუნებას.

გენერალური პროკურატურის ცნობით, მუტალიბოვი დაკავებულია და არა დაპატიმრებული. იგი დაკავებული იქნება 30 დღე და აზერბაიჯანის მხარეს გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენენ მისი საქმიანობის მაინკრიმინირებელ დოკუმენტებს და ამ დოკუმენტების შესწავლის შემდეგ თუ აღმოჩნდება საკმარისი დამამტკიცებელი საბუთები.

ჩაცმული იყო, როგორც ჩეჩენი

ჩეჩნეთში მოკლეს „ობშჩაია გაზეტა“-ს ჟურნალისტი ნადეჟდა ჩაიკოვა. მისი მკვლელობა იდუმალებით არის მოცული. ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ სიკვდილის წინ ის იდგა მუხლებზე, ახვეული ჰქონდა თვალები, სახეში მიიღო ძლიერი დარტყმა, მას პირდაპირ შუბლში ესროლეს. აღმოჩენილია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის გილზა, რომელიც, შეიძლება, სპეციალურად იყო დაგდებული მცდარ კვალზე დასაყენებლად. აღსანიშნავია, რომ მოკლული ჩაცმულობის გამო მპოვნელებს ჩეჩენი ეროვნების ეგონათ, ამიტომ სამი დღის განმავლობაში მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდან გვამის ამოსაცნობად. ბოლოს მუსულმანური წესის მიხედვით განბანეს, სავანში გაახვიეს და დამარხეს.

ჟურნალისტის კოლეგებმა გადაწყვიტეს ამ იდუმალებით მოსილი მკვლელობის დამოუკიდებელი გამოძიება.

საბარათო საინვესტიციო ფონდი

„ქართული კაპიტალის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

კვირას, 21 აპრილს, 12 საათზე გაიმართება „ქართული კაპიტალის“ აქციონერთა საერთო კრება. ვისაც თავისი ვაუჩერები ჩაბარებული აქვს (ან გადაწყვეტილი აქვს შეიტანოს) ამ ფონდში, უნდა მობრძანდნენ ფონდის ცენტრალურ ოფისში, შემდეგ მისამართზე: სანდრო ეულის ქ. №1 (ვაჟა-ფშაველას ბოლოში).

ფონდის მმართველობა

სქოლიოზის, ოსტეოქონდროზის, რადიკულიტის, მარილების დაგროვების, პოსტტრავმული მდგომარეობის და სხვა დაავადებების მკურნალობა — რეაბილიტაცია.

მიმართეთ ექიმ სანდლერს ფიზიკური რეაბილიტაციის სამსახური ყოფილ „ლენინკომბინატში“ ჭავჭავაძის გამზირი №5

რიგში ჩადექით, რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატებო!

15 აპრილს რუსეთის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელმოწერები შეიტანა კიდევ ორმა კანდიდატმა — პარლამენტართა ასამბლეის თავმჯდომარემ ვლადიმერ პოდოპრიგორამ და სახელმწიფო დუმის დეპუტატმა გალინა სტაროვოიტოვამ. ორივემ მოიტანა 1 მილიონ 200 ათასი ხელმოწერა. 19 აპრილს ცენტრალური საარჩევნო კომისია მიიღებს გრიგორი იავლინსკის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის გადაწყვეტილებას. ჯერჯერობით მხოლოდ ოთხმა კანდიდატმა გადალახა კომისიის ბარიერი — ზიუგანოვმა, ელცინმა, ჟირინოვსკიმ და გორბაჩოვმა.

სასწრაფოდ იყიდება წყნეთში სამსართულიანი, უნიკალურად გარემონტებული კაპიტალური სახლი 600 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. სახლის ფართობია 243 კვ. არის შიდა კიბეები, ორი მარმარილოს ბუხარი, აბაზანა-ბასეინი, მაკაგონის პარკეტი, მუხის და კოპიტის კარ-ფანჯარა. სახლი გადახურულია ცინკით. აქვს ავტონომიური გათბობის სისტემა, ტელეფონი. ფასი 100000 ლარი ტელ. 34—98—97.

ვანო გორგოძე

შავად გაგითენდა აპრილი ვანო. ეს რა უცნაური ამაზრზენი განგება მოგიწყო ბედისწერამ? როგორ გვიმძიმს უშენობა, რა იქნა შენი მფარველი ღმერთი, რად გაგიმეტა? რად დაიობლა შენი ოჯახი, შენი გიორგი და ანა? ახლა ცრემლითა და სევდით აივსო სულ ახლახან ბედნიერი სახლი. შენ არამარტო შენი მეუღლე, დედა და დეიდა შემოსე ძაძებით, არამედ შენი სამეგობროც.

გაზაფხული მოვიდა შენს თბილისში. იები აყვავდა, ეს პირველი გაზაფხულია, რომელსაც შენს გარეშე ვხვდებით. უფერულია უშენოდ ეს გაზაფხული. ადრე წახვედი ამ ქვეყნიდან, ძალიან ადრე. 28 გაზაფხული მიითვალე მხოლოდ. ნაადრევად გასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე, ძნელია შეეგუოთ იმ აზრს, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარ იქნები, შენმა უდროოდ წასვლამ გაუყუჩებელი ტკივილი დაგვიტოვა.

წახვედი ჩვენგან გამორჩეული მეგობარი, ოჯახის მოსიყვარულე მამა და მეუღლე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

პროსვორდი



თარაზულად: 1. ზოგიერთი სიმებიანი საკრავის კორპუსის ნაწილი; 3. ანბანურ რიგზე დალაგებული სიტყვები; 6. ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში; 8. ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი; 10. ქალაქი და ნავსადგური იაპონიაში კ.ჰონსიუსზე; 12. ნარნარად ფრენა; 13. ავსტრიის დედაქალაქი; 19. ატმოსფეროს მდგომარეობა დროის გარკვეულ შუალედში; 20. არგონავტების მითის ერთ-ერთი გმირი; 21. კუნთების სწრაფი და უნებლიე შეკუმშვა; 22. ქალაქი და ნავსადგური რუმინეთში; 23. ესპანელ-ამერიკელი ფერმწერი; 24. პირობითი სახელწოდება სტილისა ხუროთმოძღვრებაში და სახვით ხელოვნებაში; 26. ქართული წყაროებით, ქართლის მეფე ორმეფობის დროს; 29. რთული სიტყვის ნაწილი, ნიშნავს ახალს, განახლებულს; 30. ფართოშესასვლელიანი პატარა კარსტული მღვიმე; 35. მარცხიანი შემთხვევა; 37. პერსონაჟი ფილმიდან „ნატვრის ხე“; 39. გამოჩენილი რუსი ფიზიკოსი; 40. ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელთა ოჯახი; 41. მდინარე გერმანიაში.

შვეულად: 1. სენეგალის რესპუბლიკის დედაქალაქი; 2. ჯ.ვერდის ოპერა; 3. მე-XIX საუკუნის ავსტრიელი მწერალი; 4. სპორტული ან ტურისტული მიზნებისათვის განკუთვნილი გემი; 5. ქალაქი კოლუმბიის ცენტრალურ ნაწილში; 6. შეღრმავება შენობის ან ნაგებობის კედელში; 7. მცირე ტრიუმფი; 8. ძვ.ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი თელავის რ-ში; 9. ინდური რელიგიის ფილოსოფიური მიმდევრები; 10. იაპონიის სახელწოდება იაპონურ ენაზე 11. ვისიმე დავალებით მომქმედი პირი; 14. ფსიქიკის მოშლის სინდრომი; 15. შტატი აშშ-ში; 16. სოფ. ზუგდიდის რ-ში შავი ზღვის პირას; 17. სამხედრო ხომალდების მსხვილი შენაერთი; 18. ხეობა ყაზბეგის რ-ში; 25. სიკვდილისწინა მდგომარეობა; 26. ბირჟის შუამავალი; 27. ქალაქი თურქეთში; 28. ენაკიანი პნევმატური მუსიკალური საკრავი; 31. ვაშლის ქართული ჯიში; 32. ცხელი სასმელი, ამზადებენ რომის ან კონიაკისაგან; 33. მომრგვალო ფორმის მცირე ზომის კამფეტი; 34. მეფის მოხელე შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 36. სახალხო კრება ძველ რუსეთში; 38. ფრანგი კინომსახიობი კაცი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
93-20-36, 93-18-41